პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 აპრილი კვირა 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 93 (14393)

ლენინურ პრემიის ვასტატე

მეშახტეთა გამარჯვება

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტმა (მმართველი ვ. ღვინჯილია) ახალი გამარჯვება მოიპოვა და ვადამდე შეასრულა ქვანახშირის მოპოვების პირველი კვარტალის დავალება. ტყვარჩელელმა მეშახტეებმა დარჩენილ ოთხ დღეში კვარტალის გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 17.772 ტონა სათბობი. გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის გეგმაც. ტყვარჩელელებმა რუსთავის მეტალურგებს გაუგზავნეს 5 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი კოქსვადი კონცენტრატი. თვითეული ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შემცირებულია 60 კაპიკით.

მეშახტეები საპირველმაისო შრომითს ვახტზე დგანან. რიტმულად მუშაობენ პირველი, მეორე, მეხუთე და მეექვსე შახტების კოლექტივები, რომლებსაც რ. ბოცვაძე, კ. კიზირია, მ. სიმონიშვილი და შ. ყურაშვილი ხელმძღვანელობენ.

ეროვნული მიგლეფილობა ასორტიმენტის

ქუთაისი. (საკ. კორ.). პირველი მაისის დღესასწაულს ღირსეულ შეხვედრას უმზადებს № 8 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც ყველა დაწესებული ასორტიმენტის მიხედვით გადააჭარბა პირველი კვარტალის დავალებას.

მკერავებმა განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 273 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია და 1 მილიონ 877 ათასი მანეთის ნაცვლად 2 მილიონ 21 ათასი მანეთის ნაწარმის რეალიზაცია მოახდინეს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი და 98,4 პროცენტამდე აიყვანეს პირველი ხარისხის. ტანსაცმლის გამოშვება.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მაღლა აფრიალეთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, ლენინის დაბადების მეასე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან).

საპირველმაისო ვახტზე

თბილისის ინსტრუმენტალური ქარხნის პროდუქციამ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გავითქვა სახელი. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოდის აქ შეკვეთები. ამჟამად ხაწარმოს კოლექტივი წარმატებით დგას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე. ლენინური იუბილესადმი გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია ქარხნის ახალგაზრდობა.

• • •

სურათზე: ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი მერი მალანია (მარჯვნივ) და მოწინავე მკუთხავ-მხეხავი ვალენტინა ჩიკუნოვა ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

ფოტო რ. კაპარამასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ

გუსტავ ჰუსაკს

ძვირფასო ამხანაგო ჰუსაკ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავთ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩევას, რაც გამოხატავს თქვენდამი ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა მაღალ ნდობას.

საბჭოთა კომუნისტები, ჩვენი ქვეყნის მშრომელები გიცნობენ თქვენ როგორც მტკიცე, პრინციპულ მებრძოლს მშრომელთა საქმისათვის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის განმტკიცებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, როგორც მოღვაწეს, რომელიც მტკიცედ დგას მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა კავშირთან და სხვა მომძმე სოციალისტურ ქვეყნებთან სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ურღვევი მეგობრობის პოზიციებზე. ჩეხოსლოვაკიელი ხალხის სოციალისტური მონაპოვრების წინააღმდეგ გამწვავებული ბრძოლის რთულ პირობებში თქვენ გამოიჩინეთ ვაჟკაცობა, თანმიმდევრულობა, კომუნისტური მოვალეობის მაღალი შეგნება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია თავისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მაღლა ატარებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად დროშას.

ვსარგებლობთ რა ამ შემთხვევით, გვინდა ვუსურვოთ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტებს, ჩეხოსლოვაკიის მთელ ხალხს წარმატებით გადაწყვიტონ სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის დიდმნიშვნელოვანი და რთული ამოცანები, ვუსურვოთ დიდი გამარჯვებანი შემოქმედებითს, აღმშენებლობითს შრომაში, ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში.

დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ერთიანობა—საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების ჯეშმარიტი საწინდარი.

კომუნისტური სალმით

ლ. ბრეჟნევი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

1969 წლის 18 აპრილი.

გ. ჰუსაკი ჩეხოსლოვაკიის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეა

პრაღა, 18 აპრილი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ ა. დუბჩეკი გაათავისუფლა სახელმწიფო თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარისა და წევრის მოვალეობისაგან და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დანიშნა გ. ჰუსაკი, იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო.

დიადი თაოსნობის ნაპერწკლიდან

დამკვრელურად გამოვაცხადოთ ვ. ი. ლენინის იუბილემდე დარჩენილი წელიწადი

რუსთაველი მეტალურგი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ფანცულაია კისრულობს

სოციალისტური შრომის გმირის ი. ნაზარაძის შესანიშნავ თაოსნობას უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. ვ. ი. ლენინის იუბილემდე დარჩენილ წელიწადი საპატიო ვახტია.

ლენინი გვასწავლიდა, რომ კომუნიზმი არის შრომის უმაღლესი, კაპიტალიზმთან შედარებით, ნაყოფიერება ნებაყოფლობით მომუშავე, შეგნებული, გაერთიანებული, მოწინავე ტექნიკის გამომყენებელი მუშაობა. და ჩვენ, კომუნისტებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა, ვიბრძვით რა პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი ცოდნა და ენერგია უნდა წარვმართოთ სწორედ წარმოების მაღალი ეფექტურობისაკენ.

ამიტომ, ხალისით ვიღებ რა ი. ნაზარაძის საპატიო გამოწვევას, პირადად ვკისრულობ:

დიად იუბილემდე დარჩენილ პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოვადნო 250 ტონა ფოლადი და 102 პროცენტით შევასრულო ერთი წლის გეგმა. თვითეული ოვადრატული მეტრი ღუმელის ქვედის წარმადობა გავზარდო ერთი ტონით. ტონა ფოლადის წარმოებაზე დავზოგო 15 კილოგრამი პირობითი საწვავი და ჩვენი პროფესია შევასწავლო 2 კაც. 20 დღით გავზარდო რემონტიდან რემონტამდე დაწესებული დრო. ზუსტად დავიცავ ფოლადის წარმოების მარკიანობა, გამოვიშვა მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია.

შეგიმუშაო და წარმოებაში დავნერგო 5 რაციონალიზატორული წინადადება, ამასთან აქტიური მონაწილეობა მივიღო მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს მიერ რეკომენდებულ გამოგონებათა დანერგვაში.

მუშაობაში გამოვიყენო შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ახალი მეთოდები შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისა და წარმოების კულტურის გაუმჯობესებისათვის.

ვიღებ ი. ნაზარაძის გამოწვევას და ამასთან დაკავშირებით ვკისრულობ რა ახალ გაღიდებულ ვალდებულებებს, სიტყვას ვიძლევი, რომ მთელ ჩემს ცოდნასა და ენერგიას მოვახმარ მეზობლიური საწარმოს წარმატების საქმეს. ვაბრძოლებ რა შრომითს ესტაფეტას, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ რუსთავის ბინათმშენებლობის სამმართველოს მშენებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს, სოციალისტური შრომის გმირს შ. მოდებაძეს.

ა. ფანცულაია.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.

ვ. პ. მჭავანაძე

სტუმრად ქართველ მხატვრებთან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჭავანაძე ეწვია სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძისა და რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრების ირაკლი ოჩიაურისა და კობა გურულის სახელოსნოებს.

უჩა ჯაფარიძის სახელოსნოში ამხ. მჭავანაძე გულთბილად ესაუბრა ქართველ მხატვართა ჯგუფს — საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს ზ. ლეჟავას, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორს ა. ქუთათელაძეს, საქართველოს სახალხო მხატვარს ვ. თოფურიძესა და რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვრებს ა. ბანძელაძეს, გ. თოთიბაძესა და ზ. წერეთელს.

3. პ. მჭავანაძემ გამოიკითხა, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენებისათვის.

3. პ. მჭავანაძემ აღნიშნა, რომ ქართველი საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენცია, კერძოდ, მხატვრები, მუდამ აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და პარტიას ეხმარებოდნენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში.

ამხ. მჭავანაძემ რწმენა გამოთქვა, რომ ქართველი მხატვრები, მწერლები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს მოღვაწენი კვლავაც ღირსეულად ასახავენ თავიანთ ნაწარმოებებში ჩვენი ხალხის გმირულ ცხოვრებას.

უჩა ჯაფარიძემ პირადად თავისი სახელითა და ქართველ მხატვართა სახელით მადლობა გადაუხადა ვ. პ. მჭავანაძეს ყურადღებისა და დახმარებისათვის, რასაც პარტია და მთავრობა უწევენ რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ოსტატებს. (საქდესი).

□ □

დაუცხრომელი ყურადღებით მოვეკიდოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გაიმართა დიდი სჯა-ბაასი იმაზე, თუ როგორ გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის, თუ როგორ დავძლიოთ ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. მოხსენება „რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების ამოცანები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბ. ჯავახიშვილმა.

ამხანაგ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

აქვს არც პიროვნებისათვის და არც მთლიანად საზოგადოებისათვის.

სოციოლოგიური გამოკვლევანი გვიჩვენებენ, რომ საყოფაცხოვრებო საზრუნავი მეტ ნელ ადამიანებს თავისუფალი დროის 70 პროცენტზე მეტს ართმევს, ხოლო მომუშავე ქალებს უქმნის დამატებითს სამუშაო დღეს ოჯახში, გარკვეული ზომით ართმევს მათ იმის შესაძლებლობას, რომ მთელი ძალით, მამაკაცების თანაბრად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ეს განპირობებულია უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარება ჯერ კიდევ მკვეთრად ჩამორჩება ჩვენი ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტლივ ამაღლების ტემპებს.

ბუნებრივია, აღნიშნავს მომხსენებელი, რომ პირველ ხანებში, როცა საბჭოთა ხელმწიფოს წინაშე იდგა უმნიშვნელოვანესი ამოცანა — არსებითად ხელახლა შეექმნა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგები, მოსახლეობის ჯეროვანი საყოფაცხოვრებო მომსახურების მოწყობა უკანა პლანზე იყო გადაწეული. საქმიანობის ამ სფეროსათვის არ გვეცალა.

ამას, ამბობს ამხ. ჯავახიშვილი, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მომსახურების სფეროზე და როცა დადგა საკითხი, რომ აუცილებლად საჭირო იყო ყოფაცხოვრების სამსახურის შექმნა და განვითარება, არსებითად საჭირო გახდა ყველაფერი თავიდან დაგვეწყო. და ახლაც კი, როცა ამ საქმეში უკვე მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი, ყოფაცხოვრების სამსახური ჩვენი სახალხო მეურნეობის ჯერ კიდევ ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი დარგია.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ჯერ კიდევ 1962 წელს აგვისტოში მიიღეს დადგენილება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, რომელშიც დასახეს ფართო წრე ღონისძიებებისა მომსახურების სფეროს განვითარებისათვის.

ამ დადგენილებამ არსებითად საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შექმნას თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნათა დონეზე.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებას, როგორც მოგეხსენებათ, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში. ამ გადაწყვეტილებათა უსწრაფესად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1967 წლის აგვისტოში მიიღეს ცნობილი დადგენილება საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო, რაოდენ დიდია ამ დადგენილების მნიშვნელობა ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში უკანასკნელ წლებში მოხდა დიდი ძვრები, დიდი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები.

ამხანაგ გ. დ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით საყოფაცხოვრებო მომსახურების დაჩქარებული განვითარების შესახებ და ამ საკითხებზე პარტიისა და მთავრობის სხვა დადგენილებებით, უკანასკნელ წლებში თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში მცირე ყურადღებას ოდენ. ოდენ უთმობდნენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს. ეს საკითხები არაერთხელ გამხდარა სპეციალური განხილვის საგანი. ამ საკითხებზე მიღებული იყო გადაწყვეტილებები და დადგენილებები, ისახებოდა მომსახურების სფეროში საქმიანობის განვითარების ფართო ღონისძიებანი.

თანამედროვე სერვისის ყოველმხრივი განვითარებისაკენ მიმართულმა ღონისძიებებმა უკვე მოგვცა ხელშესახები შედეგები, წარმოშვა რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ინდუსტრიის ახალი სახე — ყოფაცხოვრების სამრეწველო სამსახური.

მარტო უკანასკნელ ხუთ წელიწადში რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, გახსნილია ყოფაცხოვრების სამსახურის 2.500-ზე მეტი ახალი ობიექტი. ბევრი რამ გაკეთდა საწარმოების აღჭურვისათვის თანამედროვე ტექნიკით.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მომსახურება, რასაც უწევენ სოფლებისა და ქალაქების მშრომელებს. ერთ სულ მოსახლეზე შესრულებულ სამუშაოთა და გაწეული სამსახურის მოცულობა უკანასკნელ ხუთ წელიწადში ქალაქებში ორჯერ, სოფლებში კი ორნახევარჯერ და უფრო მეტად გადიდდა.

ჩვენს თვალწინ შეიცვალა საყოფაცხოვრებო მდგომარეობა, მაგალითად, გორის რაიონის ტყვავის, მერეთის, ტორძნისის სასოფლო საბჭოების სოფლებში, წითელწყაროს, თელავის, სამტრედიის და რესპუბლიკის სხვა რაიონთა სოფლებში.

თვითონ სოფლელები განზე როდი უდგანან ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საარსებო საკითხებს. გორის, წითელწყაროსა და წყალტუბოს რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად გადაწყვიტეს თავიანთი ძალებით შეუდგნენ ყოფაცხოვრების ობიექტების მშენებლობას. ამ თანხმობამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 1968-1970 წლებში თავიანთი ძალებითა და საშუალებებით აეშენონ ობიექტების დიდი რაოდენობა.

მაგრამ, ამბობს მომხსენებელი, მიუხედავად მშრომელთა კეთილდღეობის და ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლებისა, რაც ემყარება ეკონომიური ძლიერების ზრდას, ბევრი რამ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ქალაქების და განსაკუთრებით სოფლების მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ მომსახურება, რომელიც რესპუბლიკის მოსახლეობას ეწევა, განსაკუთრებით სოფლად ჯერ კიდევ შესამჩნევად ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებას ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში.

ეს, აღნიშნავს ამხანაგი გ. დ. ჯავახიშვილი, განპირობებულია უწინარეს ყოვლისა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის არასაკმაო განვითარებით და ამ საწარმოთა უთანაბრო, არარაციონალური განლაგებით.

კაპიტალური დაბანდებანი კი, რომელნიც საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განაფართოებლად გამოიყოფა, წლითიწლობით აუთვისებელი რჩება, ჯეროვანი ეფექტურობით არ არის გამოყენებული. სისტემატურად ირღვევა ყოფაცხოვრების უმნიშვნელოვანეს საწარმოთა ამოქმედების ვადები.

არსებითი ნაკლოვანებებია კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვაშიც — ჯეროვნად არ ხორციელდება სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კონცენტრაცია, თავმოყრა მსხვილ ობიექტებსა და ასამუშავებელ ობიექტებზე. საკმაო ყურადღება არ ექცევა მოქმედ საწარმოებში საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებას, მათს ტექნიკურ ხელახლა აღჭურვას. კაპიტალურ დაბანდებებს ჯერ კიდევ იყენებენ წვრილ საწარმოთა მშენებლობისათვის, გაუმართლებლად ქსაქსავენ.

(დასასრული მე-2 გვ.)

გამოცდილების გაზიარება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 10-19 აპრილს საბჭოთა კავშირში სტუმრად იყო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ჰერმან ჰენშელი.

ჩვენს ქვეყანაში ყოფნის დროს ვერმანელი ამხანაგები გაეცნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მუშაობის გამოცდილებას მეცხრეირული კვლევის დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა და ეკონომიური სტიმულირების დარგში, დელეგაციის წევრებს შეხვედრები და საუბრები ჰქონდათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მანქანათმშენებლობის განყოფილებაში, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში, სკკპ ნოვოსიბირსკისა და სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტებში, გაეცნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცმბირის განყოფილების მუშაობას, იმწყალნენ ბოსკოვს, ნოვოსიბირსკისა და სვერდლოვსკის მთელ რიგ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებსა და სამრეწველო საწარმოებს.

18 აპრილს დელეგაცია მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა და გულთბილად, მეგობრულად ესაუბრა მას. (საქდესი).

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტში

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 1968-1969 წლების საერთაშორისო ლენინური პრემიები მიანიჭოს 1970 წელს და დაუკავშიროს იგი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ოქროს მედალი—აკადემიკოს პ. პ. ლუკიანენკოს

აკადემიკოს პ. პ. ლუკიანენკოს, ხორბლის „უფხო-1“ და სხვა ძვირფასი ჯიშების შემქმნელს, მიენიჭა ი. ვ. მიჩურინის სახელობის ოქროს მედალი. საბჭოთა მთავრობის მიერ დაწესებული ეს ჯილდო მეცხიერს, სელექციონერ პ. პ. ლუკიანენკოს მიენიჭა თვალსაჩინო მუშაობისთვის დაშორებული ეკოლოგიურ-გეოგრაფიული ფორმების შეჯვარების მიჩურინული მეთოდის განვითარებასა და სრულყოფაში და სამომდგომო ხორბლის მაღალპროდუქტიული ჯიშების შექმნისათვის. (საკდესი).

*) იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

დაუცხრომელი ყურადღებით მოვეკიდოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ყოველივე ეს, დასძენს მომხსენებელი, ანელებს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობის ზრდის დასახულ ტემპებს, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

როგორც ფაქტები მოწმობენ, კაპიტალური მშენებლობის ჩამორჩენის მიზეზი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ადგილებზე, საქალაქო და ადგილობრივი საბჭოები სისტემატურ ყურადღებას არ უთმობენ თავიანთი მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვან უბანს, მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციები კი ამას მეორხარისხოვან საქმედ თვლიან, თავიანთვის არახელსაყრელად მიაჩნიათ ყოფაცხოვრების ობიექტების მშენებლობა. ცხადია, ბევრი რამ დამოკიდებულია შემკვეთზე, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროზე, მისი აპარატის ოპერატიულ მუშაობაზე.

რესპუბლიკის მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებმა ძირეულად უნდა შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების კაპიტალური მშენებლობისადმი.

სწორი არ არის იმის ფიქრი, ამბობს მომხსენებელი, რომ ყოფაცხოვრების სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მაქსიმალური გაფართოების პროგრამა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე. ამ საქმეში უფრო ფართოდ უნდა მივიზიდოთ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძალები და საშუალებანი.

ზოგიერთი რაიონი, საწარმო, საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა, რომლებიც მოწოდებას გამოუხმაურნენ და იკისრეს ვალდებულებანი თავიანთი სახსრებით და ძალებით აშენონ საყოფაცხოვრებო დანიშნულების საწარმოები, წარმატებით ასრულებს ამ ვალდებულებებს. მაგრამ რესპუბლიკის ბევრი ქალაქისა და რაიონის ფაბრიკა-ქარხნები, სამეურნეო ორგანიზაციები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ჯერ კიდევ განზე უდგანან ამ საქმეს.

მომსახურების ხარისხისა და კულტურის გაუმჯობესებისათვის, სამუშაოთა და სამსახურის გაწევის თვითღირებულების შეცირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოთა გამსვლელობასა და სპეციალიზაციას, მაგრამ მსხვილ სპეციალიზებულ საწარმოთა შესაძლებლობებსა და უპირატესობას ჩვენში ყველგან როდი იყენებენ ჯეროვნად. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ატელიეები და სახელოსნოები, რომლებშიც 3-5 კაცი მუშაობს, გამონაკლისი როდია!

ყოფაცხოვრების სამსახურის განვითარების მაღალი ტემპები და საწარმოო სიმძლავრეთა ნაკლებობა მოითხოვს მთელი არსებული შინაგანი რეზერვების მობილიზაციას. საამისოდ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება. მაგრამ ამ შესაძლებლობებს ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ საკმაო ეფექტურობით, ჯერ კიდევ დაბალია მოქმედი საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება. სამრეცხაოების, ქიმიური წმენდის ფაბრიკებისა და სხვა საწარმოების მოწყობილობა ძირითადად მხოლოდ ერთ ცვლად მუშაობს და სამუშაო დროის განმავლობაში მთლიანად არ არის დატვირთული. ორგანიზაციული ხასიათის სხვა მიზეზებთან ერთად, ეს განპირობებულია ჯეროვნად დაყენებულ ქმედითი რეკლამის უქონლობით. მომხმარებელმა ხშირად არც კი იცის, სად და როგორი სამსახურის გაწევა შეუძლიათ მისთვის. და, ბუნებრივია, იგი მოკლებულია შესაძლებლობას გამოიყენოს ეს სამსახური.

საყოფაცხოვრებო მომსახურებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯეროვნად დაყენებულ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას. საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის საწარმოებს ესაჭიროებათ უამრავი სხვადასხვა მასალა და სათადარიგო ნაწილები, მსხვილი სახელწოდებებით დაწყებული და ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანით დამთავრებული; მოწყობილობა, მანქანები და აპარატები.

მაშინ როცა საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილება სულ უფრო იზრდება, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო და მისი საწარმონი ჯერ კიდევ ვერ არიან მთლიანად უზრუნველყოფილი საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის შალის და აბრეშუმის ქსოვილებით, სამკერვალო და ფეხსაცმლის ფურნიტურით, შალის ნარჩით და ხარისხოვანი საღებავებით, საყოფაცხოვრებო მანქანების რემონტისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებით, ხე-ტყის მასალით, სამშენებლო და სხვა მასალებითა და ნედლეულით. ბევრი სამართლიანი პრეტენზია შემოდის მასალებისა და ნედლეულის ხარისხზეც. ეს მდგომარეობა ძირეულად უნდა გამოსწორდეს.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ეკონომიური მუშაობა, აღნიშნავს ამს ჯავახიშვილი. ცალკეული საწარმოები ვერ -უზრუნველყოფენ მოგების გეგმის შესრულებას, მომსახურების დიდ ნომენკლატურა კვლავ ზარალიანია.

ახლა, ამბობს მომხსენებელი, როცა ყოფაცხოვრების სამსახური მტკიცედ დაადგა განვითარების დამოუკიდებელ გზას, როცა შეიქმნა წარმოების ხელახალი ტექნიკური აღჭურვის საკითხების ეფექტურად და სწრაფად გადაწყვეტის, ფაბრიკების, კომბინატების, ატელიეებისა და სახელოსნოების ქსელის გაფართოების ახალი შესაძლებლობანი, საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანა ხდება ის, რომ მაქსიმალურად გაეწიოს მომსახურება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას და მოეწყოს თანამედროვე მაღალგანვითარებული საბჭოური სერვისი.

თავისი ბიუჯეტის საზღვრებში თვითეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს სრული შესაძლებლობა დადგენილ ფასებში მიიღოს საჭირო საგნები და მომსახურება საკუთარი არჩევანის მიხედვით, ისე, რომ დიდი ჭაფა და წვალება არ დასჭირდეს. მაგრამ საჭირო მომსახურების მიღება ხშირად ძნიმე ღა უსიამოვნო პროცედურად იქცევა.

ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის დანერგილი ის პრინციპი, რომლის მიხედვით კლიენტი თავმომბეზრებელი მთხოვნელი კი არა, სასურველი სტუმარია. ამ პრინციპის პრაქტიკაში განხორციელება საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა წმინდა მოვალეობაა. იმათვის, ვინც გულგრილია, ვისაც უნარი არა აქვს ან არა სურს გამოიჩინოს მომხმარებლისათვის ზრუნვა, ადგილი არ უნდა იყოს საქმიანობის ამ ძასუხსაგებ ასპარეზზე.

განა შეიძლება ვუოიგდებოდეთ იმას, რომ ყოფაცხოვრების ბევრ საწარმოში სისტემატურად არღვევენ შეკვეთების შესრულების ვადებს, მომსახურების გაწევისათვის დაწესებულ საპრეისკურანტო ფასებს და სხვ. ასეთი უმარცოებულო შემთხვევები კი იშვიათი როდია.

ყოფაცხოვრების დაწესებულებათა მუშაობის შეფასების საუკეთესო საზომია თვით მომხმარებლების მიერ გამოთქმული აზრები, იმ მშრომელთა წერილები, რომელნიც თავიანთ ყოველდღიურ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანას — ყველა ღონისძიებით გაიფართოოს და გაუმჯობესოს ავტომობილისტების, ატელიეების და ავტოტურისტების მომსახურება.

მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღო დადგენილება მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში შექმნა დამოუკიდებელი სპეციალიზებული სამმართველო „საქავტოტექმომსახურება“.

ამ ღონისძიებამ გარდატება უნდა შეიტანოს ამ საქმეში.

მომსახურების სფეროს მუშაკთა შრომა საპატიოა. ამავე დროს ეს შრომა იოლი როდია. მისი თავისებურება ის არის, რომ მომსახურების სფეროს მუშაკებს მუდამ ურთიერთობა აქვთ ადამიანებთან, შემკვეთებთან, მათ უშუალო და დაუცხრომელ კონტროლს უწევენ მომხმარებლები. საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებს მოეთხოვებათ გულისხმიერად უგდებდნენ ყურს მომხმარებელთა ხმას, ეხმაურებოდნენ მათს შენიშვნებსა და წინადადებებს. ისინი მოვალენი არიან მუდამ სრულყოფდნენ თავიანთ ოსტატობას, სწავლობდნენ და ნერგავდნენ ყოველივე მოწინავეს, პროგრესულს. ყოფაცხოვრების სფეროს მუშაკთა უდიდეს უმრავლესობას ჩინებულად ესმის თავისი პასუხისმგებლობა, უყვარს თავისი პროფესია, ამაყობს იმით, რომ მინდობილი აქვს ჩვენი საბჭოთა ადამიანების მომსახურება. მაგრამ ზოგიერთ მათგანს არ ესმის ის სამუშაოთა მთელი მნიშვნელობა, რომელთა შესრულება აკისრიათ. მათ ტენდენცია აქვთ თავიანთი კერძოწყარშული ინტერესები საყოფაცხოვრებო მომსახურების აზრით დაფარონ და ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე პირადი ინტერესებისათვის გამოიყენონ. საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების დატაცებისა და მითვისების, მასალებისა და ნედლეულის არადანიშნულებისამებრ გამოყენების საკმაოდ ბევრი შემთხვევა და ფინანსური დისციპლინის დარღვევის სხვა ფაქტები.

პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქალაქო და ადგილობრივი საბჭოების ამოცანაა, ამბობს მომხსენებელი, გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღონ ბოროტმოქმედებთან ადმაშფოთებელი ფაქტების წინააღმდეგ. აღმოფხვრან ისინი, ჩვენი მოსახლეობის მომსახურების სფეროდან განდევნონ უპატრონსონ, არაკეთილსინდისიერი ადამიანები.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით სრულვყოფდეთ საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციის სისტემას, ვამაღლებდეთ მომსახურების კულტურას. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოფაცხოვრების "პროგრესი საზოგადოების პროგრესიც არის. საჭიროა უფრო ფართოდ ვნერგავდეთ შრომის მოწინავე მეთოდების გამოცდილებასა და პროგრესულ ტექნოლოგიას, ვავრცელებდეთ მომხმარებლისადმი კულტურული დამოკიდებულების ნიმუშებს, ვიჩენდეთ შეურიგებლობას უხეშობის, ხალტურის, უპატიოსნობის ყოველი ფაქტის წინააღმდეგ.

მოსახლეობის მომსახურების სფერო ისეთივე რთული და პასუხსაგები სამუშაოა, ამბობს მომხსენებელი, და ისეთსავე კულტურას, სპეციალურ ცოდნას, მაღალ ადმინისტრაციულ უნარს მოითხოვს, როგორც წარმოების სხვა სფერო. საჭიროა ვიჩენდეთ მომთხოვნელობას ამ დარგში მომუშავე კადრებისადმი, სწორად ვარჩევდეთ მათ, ვაფასებდეთ იმათ, ვინც წარმატებით მუშაობს.

ყველა ღონისძიებით უნდა გავაძლიეროთ ეკონომიური მუშაობა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, მივაღწიოთ იმას, რომ ყოფაცხოვრების სამსახური, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგი, რენტაბელური, მომგებიანი გახდეს. ამავე დროს ყოფაცხოვრების სამსახური ხელსაყრელი, ჩვენი საზოგადოების ყველა წევრისათვის მისაწვდომი უნდა იყოს.

შემდეგ მომხსენებელი დასძენს, რომ ფართო ღონისძიებანი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდისათვის, ზრუნვა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის მაღალ პასუხისმგებლობას აკისრებს მომსახურების სფეროს ყველა მუშაკს, ყველას, ვინც ამ დიდმნიშვნელოვან უბანზეა დასაქმებული. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს კიდევ უფრო მეტ ღონისძიებებს. დაკვირვებულ, შემოქმედებითს მიდგომას ამ საპატიო საქმისადმი.

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღმავლობის ვითარებაში ემზადება რეფორმაციის დიდი ბელადის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების მეასე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად ღირსეულად შრომობენ, წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს მომსახურების დარგის მუშაკები.

ამხ. გ. ჯავახიშვილი გამოთქვამს რწმენას, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მრავალათასიანი კოლექტივი, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური დახმარებით, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სრულყოს მოსახლეობის მომსახურება, თავისი წვლილი შეიტანოს ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ჰორიზონტები

ამხ. გ. ჯავახიშვილის მოხსენების გამო გაიმართა კამათი. კამათის მონაწილეებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მოეთხოვებათ გააძლიერონ კონტროლი ყველა იმ საწარმოო კოლექტივისა და უწყების მუშაობისადმი, რომლებიც მშრომელებს ემსახურებიან.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსა და სამმართველოთა ყურადღების ცენტრში ყოველთვის უნდა იყოს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობა, ადამიანებისათვის ზრუნვა.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. თხილაიშვილმა** აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს ავტონომიურ რესპუბლიკაში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

აჭარის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კოლექტივებმა მომსახურების გასული წლის გეგმა შეასრულეს 101,8 პროცენტით, პროდუქციის რეალიზაციის გეგმა — 106.6 პროცენტით, სწორხელბრუნვის გეგმა — 107,3 პროცენტით. შარშან წინა წელთან შედარებით მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა გაიზარდა 20,1 პროცენტით, აქედან ქალაქში — 15,3 პროცენტით და სოფლად — 43,4 პროცენტით. მეტი ყურადღება ექცეოდა მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლასა და დაკმაყოფილებას. დაინერგა 17 ახალი სახეობის მომსახურება. ამავე პერიოდში აშენდა და სააქსლოატაციოდ გადაეცა საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრი ობიექტი, პავილიონი და სხვა საწარმო, როგორიც არის სამრეცხაოები, ქიმიური წმენდის, ლითონდამუშავებისა და სხვა სახელოსნოები.

აჭარის სამრეწველო საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი წყალტუბოს, გორისა და წითელწყაროს რაიონების მშრომელთა ინიციატივას, რომლებმაც მოუწოდეს საკუთარი სახსრებით აშენონ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. მარტო მიმდინარე წელს ავტონომიურ რესპუბლიკაში ასე აშენდება და ამუშავდება საყოფაცხოვრებო მომსახურების 61 ობიექტი, ხოლო მომავალ წელს კიდევ 67 ობიექტი.

კომბინატ „თბილისელსპრესის“ მკერავმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატმა **ე. გულიევამ** ილაპარაკა კომბინატის კოლექტივის მუშაობაზე. ამ ბოლო წლებში კომბინატის კოლექტივმა გარკვეული წარმატებანი მოიპოვა მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაფართოების საქმეში. მნიშვნელოვნად გაიზარდა მომსახურების ობიექტების ქსელი, დაინერგა ახალ სახეობათა მომსახურება. გაუჯობესდა შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. ამავამად კომბინატში გაერთიანებულია საყოფაცხოვრებო მომსახურების 24 საწარმო, რომლებიც მოსახლეობას უწევენ 60-ზე მეტი სახეობის მომსახურებას. ყოველთვიურად 5 ათას ოჯახზე მეტი მიმართავს კომბინატის კეთილი მომსახურების ბიუროებს. ბევრი სიახლე დაინერგა კომბინატში გასული წელს. მაგალითად, ორკონიკიძის რაიონის ბიუროსთან შეიქმნა მეშადე-დეკორატორთა ჯგუფი, რომელიც სხლავს ხეხილს

კომუნისტი

№3-2 ბგერდი, კვირა, 20 ბაკრილი, 1969 წ.

და დეკორატიულად აფორმებს გაზონებს.

კომბინატის კოლექტივმა, რომელიც ემზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ხუთწლედის მეოთხე წელი გამოაცხადა ლენინური შრომითი ვახტის, წარმოების მაღალი კულტურისა და მოსახლეობის სანიმუშო მომსახურების წლად.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **პ. გილაშვილმა** აღნიშნა, რომ აფხაზეთში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში, მაგრამ ამასთან თქვა, რომ მომსახურების 19 ძირითად სახეობიდან გეგმა შესრულდა მხოლოდ 9 სახეობის მიხედვით. თავის სიტყვაში მან მთავარი ყურადღება დაუთმო ნაკლოვანებათა ანალიზს. ნელა ვითარდება საყოფაცხოვრებო ობიექტების ქსელი სოფლად. მაგალითად, ოფიციალური მონაცემებით აფხაზეთის ასსრ-ში საბჭოებისა და კოლმეურნეობების დიდ უმრავლესობას აქვს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ხშირად ასეთ ობიექტებად მიაჩნიათ სპარეკმახერო და სახარაზო ჯიხურები, რომლებიც ხშირად დახურულია ან, გასაგებია, რატომ უხდება სოფლის მცხოვრებს ყოველდღე ქალაქში ჩასვლა.

უაღრესად არადამაკმაყოფილებელია საქმის ვითარება ადრების მხრივ. საშუქნაროდ, ჩვენში კიდევ არის ისეთი აზრი, თითქოს თუ ადამიანი თავისი მონაცემებით მეურნეობის არც ერთი დარგისთვის არ ვარგა, იგი აუცილებლად გამოდგება ხელმძღვანელ თანამდებობაზე საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემაში.

შესწავლასა და გადაწყვეტას მოითხოვს მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული ბევრი სხვა საკითხი. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისეთი მდგომარეობა, რომ ზოგიერთ სახეობათა მომსახურების განვითარებას ხელს უშლის ფასების დონე, რომელიც არ შეესაბამება გაწეული მომსახურების თვითღირებულებას. არ უნდა გვეშინოდეს ერთგვარი დოტაციების შემოღება ცალკეულ სახეობათა მომსახურებაზე, როცა დარწმუნებული ვართ, რომ დიდ მოგებას მივიღებთ შრომის ეკონომიის თვალსაზრისით. მთელ რიგ შემთხვევებში მომსახურების საკითხს არ უნდა მივუდგეთ წმინდა კომერციული თვალსაზრისით და არ უნდა ვიხელმძღვანელოთ ვიწროდ გაგებული რენტაბელობით. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს შინ მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესებას.

პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველმა მდივანმა **ბ. გრიგალაშვილმა** აღნიშნა, რომ თუმცა სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა საყოფაცხოვრებო მომსახურება გადაიქცეს სახალხო მეურნეობის დიდ, მექანიზებულ დარგად, არც თუ ისე ბევრი დრო გავიდა, მაგრამ ამ საქმეში მოპოვებულია გარკვეული წარმატებანი. პირველი მაისის რაიონში. ისე როგორც მთლიანად ქალაქში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. კეთილმოწყობილია ძველი შენობები, გაიხსნა ახალი სპარეკმახეროები, ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ატელიეები, ფოტოტელეები, საოჯახო ინვენტარის გასაქირავებელი პუნქტები, ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის, ტრიკოტაჟის ნაწარმის ინდივიდუალური ქსოვის ატელიეები და სხვ. დღეს რაიონის მოსახლეობას ემსახურება საყოფაცხოვრებო მომსახურების 150-ზე მეტი ობიექტი.

გაწეული მუშაობის მიუხედავად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ქალაქში ასზე მეტი მოუწყობელი სახელოსნოა, რომლებიც მოუხერხებელ შენობებში განლაგებული. ჯერ კიდევ ბევრია შემთხვევა, როცა არღვევენ სპარეისკურანტო ფასებს, აქილარებენ შეკვეთის შესრულების ვადებს, უხარისხოდ ასრულებენ შეკვეთებს, ზოგიერთი სახეობის მომსახურება არ შეესაბამება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს.

რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებისათვის, თქვა პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. გონაშვილმა,** დიდი ყურადღება ეთმობა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და ახალ სახეობათა მომსახურების დანერგვას. პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინეს რაიონის კოლმეურნეობებმა და სამრეწველო საწარმოებმა, რომლებმაც 1966-1968 წლებში საყოფაცხოვრებო მომსახურებისა რაიონულ სამმართველოსთან ერთად ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს საყოფაცხოვრებო მომსახურების ორი კომბინატი, 9 პავილიონი და 24 სხვა ობიექტი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოფლების ოზაანის, ზემო მაჩხაანის, არბოშიკის, არხილოსკალოს, ზემო ქედის და სხვა კოლმეურნეობებმა, რომლებმაც საკუთარი სახსრებით ააშენეს კეთილმოწყობილი შენობები და გახსნეს სახელოსნოები, ატელიეები და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოები.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ახლა რაიონში მუშაობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაახლოებით 90 ობიექტი, რომლებიც 30-ზე მეტი სახეობის მომსახურებას უწევენ მოსახლეობას.

ამ ბოლო წლებში ქალაქ რუსთავში გაწეულია დიდი მუშაობა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის, მისი ქსელის გაფართოებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **რ. ჯაფარიძემ** თქვა, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ქალაქში გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრი დიდი ობიექტი, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობითა და ინვენტარით, მათ შორის აბანოებისა და სამრეცხაოების კომბინატი, ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების სადგური, შეუღლებული მომსახურების სამი კომბინატი, სალონი „ახალგაზრდობა“, კეთილი მომსახურების ბიუროები. გასაქირავებელი პუნქტი, მოდების ატელიე, ფოტოტელეე და სხვ. გაფუძნა მნიშვნელოვანი მუშაობა არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის. მთელი რიგი ობიექტები აღჭურვილია ახალი ტექნიკით, დაინერგა მომსახურების ახალი ფორმები, განხორციელდა დაქსაქსულ ობიექტთა გაერთიანება, რის შედეგადაც ამაღლდა მომსახურების კულტურა.

ამასთან ორატორმა აღნიშნა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. ქალაქს არ ჰყოფნის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სათანადო დონეზე არ არის მომსახურების კულტურა. შესაბამისმა ორგანიზაციებმა თავიანთ გეგმებში უნდა გათვალისწინონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა შემდგომი გაფართოება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი მომსახურების დაპროექტებას, რომელიც დაკვეხმარება ჩვენი ქალების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ჯუსოევმა** აღნიშნა, რომ ოლქის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს, რათა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები და ორგანიზაციები განემტკიცებინათ მომზადებული და კვალიფიციური კადრებით. მეტი ყურადღება ექცევა კვალიფიციური ოსტატებისა და მუშების მომზადებას. მარტო შარშან ქალაქ ცხინვალის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ მოამზადა და კვალიფიკაცია აუმაღლა 50-ზე მეტ კაცს. 1968 წელს ქალაქ ცხინვალში მომსახურების მოცულობამ ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 15 მანეთი და 40 კაპიკი, სოფლად კი მხოლოდ 2 მანეთი და 20 კაპიკი. ოლქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს.

ჯერ კიდევ ძალიან დაბალია საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე, განსაკუთრებით სოფლად. ეს ეწინააღმეგ ყოველივა იმით აიხსნება, რომ სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მდგომარეობა, მასალების ხარისხი და კადრები. ამ ძირითად ფაქტორებზეა დამოკიდებული მომსახურების სფეროს მუშაკთა მთელი საქმიანობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის განხორციელდა გარკვეული ღონისძიებანი. აშენდა ახალი მანქანებით, მოწყობილობით, ინვენტარით აღჭურვილი მთელი რიგი ახალი ობიექტები. სამინისტრომ აიღო ახალი მძლავრი ობიექტების მშენებლობის კურსი. უნდა გამოვძებნოთ ადგილობრივი რესურსები და შესაძლებლობანი ისეთი ობიექტების მშენებლობისათვის.

ამასთან ამხ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მშენებლობას ჯერ კიდევ აფერხებს ბევრი დაბრკოლება და ხალი. ხშირად ხდება, რომ საშენ მასალათა საწარმო ჯერ არ ამუშავებულა, ამ დროს კი აპროექტები ახალი ობიექტების მშენებლობას დაუმთავრებელი საწარმოს პროდუქციის იქედან. გაუმართლებელია ისეთი პრაქტიკა, როცა დასავლეთ საქართველოს ობიექტებისათვის ცალკეულ საშენ მასალებს ალმოსავლეთ საქართველოში გეგმავენ, ალმოსავლეთ საქართველოს ობიექტებისთვის კი დასავლეთ საქართველოში, მაშინ როცა ეს მასალები ადგილზევე შეიძლება იშოვნი. ამ დიდმნიშვნელოვანი საკმისადგან ასეთი დამოკიდებულების შედეგად მშენებლობა ძვირდება და ეჭიაურდება.

სიძნელეებს ვაწყდებით აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მანქანებითა და მოწყობილობით აღჭურვის საქმეში. ჩვენ გვეპირდება მცირე სიმძლავრეების ბევრი დანადგარი, უნდა გამოვნახოთ გარკვეული სახსრები იმპორტული დასაღგარებისა და სხვა მასალების შესაძენად, რომლებიც საჭიროა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებისათვის.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები, თქვა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა **ვ. ღოღობერიძემ,** დიდ და დადებით მუშაობას ეწევიან საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებთან, არიან სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ორგანიზატორები, სწავლობენ და ავრცელებენ წარმოების მოწინავეთა მუშაობის გამოცდილებას. საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებს მორის სოციალისტური შეჯიბრება მასობრივი გახდა, მასში მონაწილეობს 23 ათასზე მეტი მუშა და ოსსმასახლური. 102 საამქროს, 242 ბრიგადას, 2.530 მუშას მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივთა და დამკვრელთა სპატიო წოდება.

ორატორმა თქვა, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში მოპოვებულია წარმატებანი, მაგრამ ამასთან აღინიშნა, რომ მომსახურების გაწევის მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ საძიებელ საკავშირო დონეს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიებით. ეს იიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ ძველთრად ჩამორჩენით საყოფაცხოვრებო ობიექტების კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებაში, მეორე — ველ წარმოებს მუშაობა სახელოსნოთა გამსხვილებისა და სპეციალიზაციისათვის. რა სპეციალიზაციაზე ძეიძლება ლაპარაკი, როცა ქალაქ თბილისში, სადაც გვაქვს ფეხსაცმლის შემკეთებელი მექანიზებული ფაბრიკა, რომელიც მხოლოდ 30-35 პროცენტით არის დატვირთული. კელავაც მუშაობს 200-ზე მეტი წვრილი სახელოსნო, რომლებიც ძველ და მოუწყობელ შენობებშია გაფანტული, საყოფაცხოვრებო მომსახურების დონეზე უარყოფით გავლენას ახდენს ისიც, რომ ცოდნად არის ორგანიზებული მოსახლეობისაგან ფეხსაცმლის შეკეთებაზე, თეთრეულის ეიცხვაზე, ტანსაცმლის ქიმიურ წმენდასა და შეღებვაზე, აგრეთვე საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტზე შეკვეთების მიღებაზე.

ხაშურის რაიონის ხალხის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომი, თქვა მისმა თავმჯდომარემ **ტ. ლომაჯინიძემ,** დღენიადაგ ზრუნავს სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამის შედეგად უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა მომსახურების დონე. სოფელში აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონი. სოფლის მშრომელებს აღარ უხდებათ ყოველი ეკრანლანისათვის ჩასვლა რაიონულ ცენტრში. იმისთვისაც ვიზრუნეთ, რომ გვაყვდეს საკეთილო კადრები. საკმაო რაოდენობით მოვამზადეთ სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ მოსახლეობის მომსახურების სფეროში. სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობა სისტემატურად ზრუნავენ სოფლის კეთილმოწყობისათვის. შეკეთებულია გზები, აშენდა მაღაზია, კლუბ-კინტორის შენობა, სპორტული მოედანი, შენდება წყალსადენი და ამბონ. ყოველივე ეს და სხვა ღონისძიებები შესაძლებლობას გვაძლევს სოფლის მშრომელთა მომსახურების საყოფაცხოვრებო მომსახურების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანას — ყველა ღონისძიებით გაიფართოოს და გააუმჯობესოს ავტომობილისტების, ატელიეების და ავტოტურისტების მომსახურება.

მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღო დადგენილება მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში შეიქმნა დამოუკიდებელი სპეციალიზებული სამმართველო „საქავტოტექმომსახურება“.

ამ ღონისძიებამ გარდატება უნდა შეიტანოს ამ საქმეში.

მომსახურების სფეროს მუშაკთა შრომა საპატიოა. ამავე დროს ეს შრომა იოლი როდია. მისი თავის

გ. ჰუსაკის საბოლოო სიტყვა

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პლენუმზე

პრაღა, 19 აპრილი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც 17 აპრილს გაიმართა, საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გუსტავ ჰუსაკმა, იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო.

ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით, პრეზიდიუმის ყველა წევრის სახელით გ. ჰუსაკმა მადლობა გადაუხადა პლენუმის მონაწილეებს ნდობისათვის. ჩვენს დიდ მოვალეობად მიგვაჩნია, თქვა მან, ვიმუშაოთ ჩვენი პარტიის ძირითადი დოკუმენტების სულისკვეთებით და ჩვენი ხალხი და ჩვენი პარტია გამოვიყვანოთ ახლანდელი მძიმე მდგომარეობიდან.

გ. ჰუსაკმა მადლობა გადაუხადა პარტიისა და ალმასრულებელი კომიტეტის ახლანდელი ხელმძღვანელობის ყველა წარმომადგენელს, რომლებიც ახალი ორგანოს შემადგენლობაში არ შესულან, იმ მუშაობისათვის, რაც განვლილ პერიოდში გასწიეს.

დისკუსიის დროს რამდენიმე ამხანაგმა წინადადება შემოიტანა, თქვა გ. ჰუსაკმა, რომ გამოვსულიყავი საპროგრამო განცხადებით. ჩვენს პარტიაში არ არის ტრადიცია, რომ ერთი პირი გამოდიოდეს რაიმე პირადი პროგრამაშული განცხადებით. ამავე დროს არც ერთ კოლექტიურ ორგანოს დროს არა ჰქონდა შეემუშავებინა ასეთი დოკუმენტი. ჩვენ გვინდა მაისში, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება, მოვიწვიოთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, შევიმუშაოთ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის პოზიცია პოლიტიკური მდგომარეობის მიმართ, შევიმუშაოთ პოზიცია ეკონომიურ საკითხებზე, თუნდაც იმ საკითხებზე, რომლებიც უკვე შეიძლება გადაწყდეს შემდგომი გეგმების გათვალისწინებით, და ცენტრალურ კომიტეტს შესაძლებლობა მივცეთ მთელი სიგრძე-სიგანით განიხილოს პრობლემები და გამოიტანოს გადაწყვეტილებანი მათ გამო.

მიუხედავად იმისა, რომ არ შემიძლია წავიკითხო რაიმე პროგრამული განცხადება ორგანოს სახელით და არც ჩემი სახელით, მინდა ზოგიერთ საკითხზე დავჩერდეთ პოზიცია, რომელიც პრეზიდიუმის პოზიციას შეესაბამება.

შეეხო რა პარტიასა და სახელმწიფოში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას, გ. ჰუსაკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დისკუსია ამ პლენუმზე ადასტურებს უმაღლესი პარტიული ორგანოს წევრთა შორის შეხედულებათა დიდ სხვაობას. ეს სერიოზული საკმაა. ყოველივე ამას უნდა ჩაუფიქრდეთ. დღეს არ გადავწყვეტთ საკითხს, მაგრამ უნდა გამოვნახოთ გადაწყვეტილება, პატიოსანი კომუნისტური გადაწყვეტილება.

ჩვენა ვართ მმართველი პარტია, და ჩვენთვის სულ ერთი არ არის, რა იბადება მის შიგნით. პასუხს ვაგებთ 14 მილიონი ადამიანის ბედისათვის, მათი სიცოცხლისათვის, ეკონომიკისა და სოციალური მდგომარეობისათვის. არ ვიცი, სარისკო ხომ არ არის დადგდოთ ჩვენი ხალხისათვის ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის, მაგალითად, ეკონომიური პრობლემები, მაგრამ ეს საერთო პოლიტიკური აგზნებულობა საკითხია. ეს კრიზისული მდგომარეობა ღრმავდება. 28 მარტის ღამის მსგავსი უკანასკნელი დროის ამბები და დაიზარდა მოქმედებად, რომელიც არა მარტო სისხლის სამართლის საკითხის მოქმედების მიჯნაზეა, რამაც შეგვარცხვინა მთელ მსოფლიოში, უაღრესად გაამწვავა საერთაშორისო ვითარება, არამედ ზოგიერთ ადგილას აშკარა კონტრრევოლუციური ხასიათიც კი მიიღო. არ მერიდება ვიხმარო ეს გამოთქმა.

განსაკუთრებით საგულისხმოა ჩაკუფიქრდეთ იმას, რომ პარტიის ზოგიერთი მოღვაწე და წევრი, ამ ორგანოს წევრებიც კი ცდილობენ ამას არ მიანიჭონ ესოდენ დიდი მნიშვნელობა. თითქოს რამდენიმე ხულიგანს რაღაც ჩაედინოს, საგანგებოდ კი მთელ საზოგადოებას სჯიდნენ. ამის შესახებ წავიკითხე და მოვისმინე საზღვარგარეთის რადიოთი, ასეთი ცნობები ვრცელდება ჩვენშიც სხვადასხვა არხით. განა ადამიანთა მოქმედებას იმ ღამეს არ ჰქონია ანტისაბჭოური ხასიათი? განა შეესაბამება ასეთი დემონსტრაცია ჩვენი ხალხების ღირსებას? გაგახსენებთ ერთ დოკუმენტს. პრაღის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ორგანიზაციამ, რომელშიც შედის უმაღლესი სასწავლებლის ყველა კომუნისტი, პრეზიდიუმს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: „28 მარტის ამბები ჩვენი ხალხის მარტო სპორტული წარმატებით გამოწვეული სიხარული რიდი იყო, არამედ ასახავდნენ აგვიანებთი გამოწვეულ... ჩვენი ხალხის გრძნობებს“. ასე აშკარად განმარტავს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ორგანიზაცია დემონსტრაციის აზრს. თუ როგორ იყო საქმე, ამის დადასტურება შეუძლიათ შინაგან საქმეთა სამინისტროს და ეროვნული თავდაცვის სამინისტროს.

მეორე საკითხი ის არის, თუ რატომ ფიქრობს ამგვარად ათეული ათასობით ადამიანი. ავიღოთ მაგალითად ბეგრი ჟურნალი. მე შეგიძლია ერთ-ერთ მათგანზე, სახელდობრ ლიტერატურულ ჟურნალ „ლისტზე“. თითქმის ყოველი ნომერი ამ ამბების წინ შეიცავდა ინტენსიურ ანტისაბჭოურ პროპაგანდას, ბეგრი სტატია ეძღვნება, მაგალითად, იან ზაიცის თვითდაწვას და ა. შ. ან, მაგალითად, ჟურნალ „ზიტრნენში“ სისტემატურად იბეჭდებოდა ანტისაბჭოური პროპაგანდა. რაღას აკეთებდნენ სხვა გაზეთები? თუ ჩვენს ადამიანებს ასე შთაადონებენ ამგვარ ამბებს, რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამას? განა ეს წინასწარი განზრახვით ორგანიზებული საქმე არ არის? განა ეს რამდენიმე ხულიგნის საქმეა? ჩვენ უნდა ვისწავლოთ დაფარქვაფ საგნების თავიანთი სახელები, არ შევნიღბოთ არაფერი არც საკუთარი თავის, არც საზოგადოებრიობის წინაშე. მე არ მინდა ვისმეს ბრალი დავდო, მაგრამ თუ ავგიტაციმდე დიდი ხნით ადრე წარმოებდა გაფაფრებული პროპაგანდა, რომელიც ამგვარად დამთავრდა, მაშინ დაე ნურავინ ნუ იტყვის, რომ დამწაფავეა მხოლოდ რამდენიმე ხულიგანი, რომლებიც უნდა დაგვეპატიმრებინა და ამით საქმე დამთავრებულიყო. მაკვირდები, რომ ადამიანებს, რომლებსაც პატივს ვცემ, შეუძლიათ ამგვარად გამოსვლა.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ამა წლის 2 აპრილის განცხადება, განაგრძო შემდეგ გ. ჰუსაკმა, შეიცავს ბევრ კარგსა და გონივრულს. ის განსაზოგადა აგრეთვე გამაფრთხილებლად მიგვითითებდა, თუ როგორ უნდა ვიაროთ წინ პარტიასა და სახელმწიფო ორგანოებს არ შეუძლიათ პრაქტიკულად განხორციელონ თავიანთი პოზიტიური პროგრამა. ჩვენ განუწყვეტლივ გვთხოვენ კონკრეტულ მუშაობას, და ყოველ ჩვენგანს, რაზეც უნდა მუშაობდეს, უნდა ,ამა თუ იმ აქციების განიტრალება, განუწყვეტლივ უნდა ვარწმუნებდეთ და ვახორციელებდეთ ღონისძიებებს სხვადასხვა ძალების წინააღმდეგ. ხოლო როცა, ბოლოს და ბოლოს, პარტია და სახელმწიფო ორგანოები ჩააქრობენ ერთ კრიზისს, რამდენიმე კვირის შემდეგ ჩნდება მეორე და შემდეგ კი ახალი კრიზისი. ეს იწვევს ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებასაც. რომელი სახელმწიფო მისცემს თავს ამის ნებას? თქვენ კარგად იცით, რომ ამ ვითარებას მოსდევს შედეგები სულ სხვადასხვა ასპექტში.

თქვენ იცით, თუ რა მდგომარეობაა პარტიაში, რა აქტიური მოქმედების უნარი აქვს, როგორია პარტიის ერთიანობა, რა გავლენას ახდენს ეს სახელმწიფო ხელისუფლებაზე, ეკონომიკაზე, პარტიულ დისციპლინაზე, შრომითს მორალზე და ა. შ. გაბრწყინს პროცესი ბრძოლადან ეს შედეგად საშიშ საზღვრამდე მიეყვანართ. ამ გაგვითარების პრინციპები კარგად გამოხატა ცენტრალური კომიტეტის ბოლო სულის ნოემბრის რეზოლუციამ. პოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენ დავუშვით სხვადასხვა ძალები, რომლებსაც საერთოდ ანტისოციალისტურ ძალებს ეუწოდებთ. ეს არის ძალები, რომლებიც ობიექტურად სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ არიან, პოტენციურად ესწრაფვიან სოციალისტური წყობილების შეცვლას სხვა რამით. ისინი მოქმედებენ ლეგალურად და აქა-იქ სდევნიან კომუნისტებს. ჩვენ ვიღებთ წერილებს ამაზე.

შემარჯვენი ტენდენციები ხელს უშლიან პარტიის აქტიურ მოქმედებას და პარტიის ერთიანობას. აქ ხშირად ვხედავთ კავშირს უცხო პროპაგანდასთან. იმან, ვინც უსმენს „თავისუფალი ევროპის“ გადაცემებს, იცის, რომ ამ გადაცემებში გვხვდება ისეთიერ ენა და ისეთიერ გამოთქმა, ხშირად ისეთიერ ტერმინოლოგია, რომელსაც ზოგიერთი ჩვენი პუბლიცისტი იყენებს. ხდა წაგვიყვანს ეს, თუ ჩვენი ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური ორგანოები ღონისძიებებს არ განახორციელებენ? რა შეიძლება მოჰყვეს ამას? ამას შეიძლება მოჰყვეს სამოქალაქო ომი.

თვითეულმა, ვინც კი ხდება ხალხს, იცის, რომ პარტიულ მასებში ჩვენს ადამიანებს შორის მწიფდება იმის შეგნება, რომ შეუძლებელია კვლავაც ვიაროთ ამ გზით, რომ ზოგიერთ ძირითად საკითხში საჭიროა წესრიგი დამყარდეს პარტიის შიგნით, ჩვენი საზოგადოების შიგნით, აღიკვეთოს სხვადასხვა ძარგამომთხრელი ძალისა და ტენდენციის მოქმედება და შეიქმნას ნაყოფიერი, პოზიტიური მუშაობის პირობები პარტიასა და მთელ ჩვენს საზოგადოებაში.

დოკუმენტები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ, არსებითად კარგი დოკუმენტებია. მაგრამ რაღა არის ცუდი? ცუდია ჩვენი მიდგომა დოკუმენტებისა. რეალიზაციისადმი. მაგალითად, ჩვენ შევიტანეთ ალვნშნოთ, თუ რა ბედი ეწია ნოემბრის რეზოლუციას. ვერ განხორციელდება ვერც ერთი საქმე, რომელსაც წყვეტს ესა თუ ის ორგანო, თუ იგი მხოლოდ აცხადებს მას და არ იბრძვის მისი განხორციელებისათვის.

მაშასადამე, ჩვენ არ გვინდა შეეცვალოთ პოლიტიკური კონიუნქტურა, თქვა გ. ჰუსაკმა. ჩვენ არ გვინდა შეეცვალოთ ეროვნებიური ხასიათ. მაგრამ ჩვენ აშკარად უნდა შეეცვალოთ მიდგომა ამ ხასიათადმი, მისი რეალიზაციისადმი და მისი განხორციელებისათვის ბრძოლის ორგანიზაციისადმი. ყველა ეს საკითხი პოლიტიკური ბრძოლაა. ეს არ არის ამა თუ იმ ამხანაგების სხვადასხვა თვალსაზრისის პრობლემა. სხვადასხვა თვალსაზრისი პარტიის შიგნით იყო. გარკვეული თვალსაზრისით უნდა ხდებოდეს შეხედულებათა დაპირისპირება. შიხედულებათა დაზუსტება, რადგან სწორი ამის შედეგად ვლინდება საუკეთესო საწყისი პუნქტი. მაგრამ სხვა საქმეა, როცა დისკუსიის შემდეგ მიღებულია გადაწყვეტილება. იგი უნდა იყოს ერთობლიერ გადაწყვეტილება და უნდა ებრძოლოთ მისი განხორციელებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არ ექნება ამ გადაწყვეტილების მიღებას, თუ არ გვინდა მოვიტანეთ თავი ან სხვა ინიმე მოვატყუოთ, თუ არ გვინდა მხოლოდ გადაწყვეტილებანას თამაში.

ამგვარადვე დგას იმ სხვადასხვა ძალის საქმე, რასაც უნდა ვუწოდებდეთ მათ. არა ვიდილობ იარლიყები მივაკრა ვისმეს. მაგრამ არ უნდა დაეშვათ ,დაძაბულობის გაჭმეტვება და მდელგარებანი ჩვენს საზოგადოებაში, რომლებსაც იწვევენ ეს ძალები და იწვევენ წინასწარგანზრახვით. საჭიროა ვაწარმოოთ ორგანიზებული პოლიტიკური ბრძოლა ამის წინააღმდეგ, როგორც პარტიის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მე ფლამარკამ სწორედ პოლიტიკურ ბრძოლაზე, თუ ეს არ სცილდება მოქმედი კანონების ფარგლებს. თუ ეს არ არღვევს რომელიმე კანონს. მაგრამ ბრძოლა უნდა წარმოებდეს. ამ ბრძოლას უნდა აწარმოებდნენ უწინარეს ყოვლისა პარტიის მთელი ხელმძღვანელობა, ცენტრალური კომიტეტის წევრები და სხვა ორგანოები.

ჩვენი ამხანაგების ნაწილი, მაგალითად, ვააფთრებით მოითხოვს თავისუფლებას, გამოდის, რომ ზოგი თავისუფლებას იღავს, ჩვენ კი, სხვები, თავისუფლების ჯალათები გამოვდივართ? ზოგიერთებს თავისუფლებისა და დემოკრატიის ჩირაღდნის მატარებლად მოაქვთ თავი, ჩვენ კი, როგორც ჩანს, რაღაც რეაქციონერთა ხროვა ვართ, რომლებიც შეავიწროვებენ პრესას? მაგრამ მე არ ვიცნობ არც ერთ ბურჟუაზიულ დემოკრატიას დასავლეთში, რომელიც თავისთავს ნებას მისცემდა უშიდეგოდ გაეტარებინა ის, რაც ჩვენში ხდებოდა ამ ბოლო ხანს.

მაგრამ ეს დიდი მასშტაბის წინააღმდეგობაა. ჩვენს მუშაობაში ახალი ი რა უნდა იყოს: თუ ვიღებთ გადაწყვეტილებას, დოკუმენტს, ნოემბრის რეზოლუციას, უნდა მოვაწყოთ პოლიტიკური ბრძოლა მათი შესრულებისათვის, გავანაღდოთ ისინი.

შემდეგ გ. ჰუსაკი შეეხო საგარეოპოლიტიკურ ურთიერთობას. დღეს, თქვა მან, არსებობს ოპოზიციური მიმდინარეობანი, ანტისოციალისტური მიმდინარეობანი, მემარჯვენე მიმდინარეობანი, რომლებიც ჩეხიისა და სლოვაკიის პატრიოტიზმის, ჩეხოსლოვაკიური პატრიოტიზმის შირმას ფარავენ. და მთელი ლეგალური საშუალებებით ავრცელებენ ანტისოციალიზმს. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ ერთ-ერთმა ოსტრავლიმა ამხანაგმა მაჩვენა წიგნი, რომელშიც დაბეჭდილი იყო იქ მოწყობილი ჯამოფენის ფოტოსურათები. თვითეული მათგანი პროვოკაციული ანტისაბჭოთა ხასიათის ატარებს. ეს ჯამოფენა კი მოწყობილია სახელმწიფო სახსრებით. დღეს განვიხილავდით მეორე „დოკუმენტს“: თქვენ იცით, თუ რა არის „შავი წიგნი“, იცით, თუ რა პოლიტიკური ზიანი მოვაყენა მან. იგი შეადგინა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა. ხოლო ავტორებს მიეცათ პონორარი 30 ათასი კრონის ოდენობით. აკადემიის ფული კერძო ფული არ არის. პონორარი არ შეიძლება მიეცეს იმისათვის, რომ პარტიამ და მთავრობამ დაჯმეს. ანტისოციალიზმი ასეთ პირობებში მთავარი იარაღია ოპოზიციური ძალებისა და, მე ამაკრად ვიტყვი ამას, ანტიპარტიული მიმდინარეობებისა, თუნდაც ისინი პარტიის შიგნით არსებობენენ.

არ ავიხსენებ ისტორიას, თუ როგორ მოვიპოვეთ 1945 წლის თავისუფლება, რა პირობებში, რომ აქ დაიღუპა 100 ათასზე მეტი საბჭოთა ადამიანი. იმან, ვინც ამ წლების წინაღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობდა, იცის, თუ რას ნიშნავს ეს.

განა შეიძლება სხვანაირად უწრუნველყოთ ჩვენი ორი ხალხის, ჩვენი ხალხის თავისუფლება ამ დანაშეულებულ მსოფლიოში, დანაწილებულ ევროპაში? ჩანს, თითქოს პრაქტიკულად ჩვენი პრინციპებისაგან მწორად სუსტი ხსნარიდ დარჩა. თუ ვინმეს სურს ჩვენი სახელმწიფოს საშინაო უშიშრობაზე იფიქროს, როგორ შეუძლია შეურიგდეს ანტისოციალიზმს, გაავრცელოს სიძულვილი, თანაც ლეგალური სახელმწიფოს საშუალებებით — ტელევიზიით, რადიოთი, პრესაში? რა შეიძლება ამას მოჰყვეს?

ერთმა ამხანაგმა აქ თქვა, რომ ანტისოციალიზმს ერთი მნიშვნელობა ჰქონდა ავგისტამდე და მეორე — ავგისტოს შემდეგ. ავგისტამდე, თქვა მან, საჭიროო იყო დავფიქრებულიყავით ამაზე, მაგრამ ავგისტოს შემდეგ ეს პპპრიოტიზმის საკითხია. ჩვენ უნდა განვმარტოთ ასეთი მოვლენები. ანტისოციალიზმი შეეთავსებულია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიასთან და სასტიკად ეწინააღმდეგება ჩვენი სახელმწიფოს სახელმწიფოებრივ პოლიტიკას!

ვერ შეეურიგდებით მას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დადებითად უნდა განვუმარტოთ ხალხს ეს. უბრალო მოქალაქენი მჯერებად აქ უნდა გავიხადოთ, მაგრამ ვერ შეეურიგდებით, რომ ამ შხამით იწამლებოდეს ჩვენი ადამიანების გონება. თუ აქ ვინმე იტყვის, რომ აგვიანტოსშემდგომ პერიოდში სხვანაირად ვუდგებით მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად პრინციპებს, და თუ ამას განაცხადებს როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრი, მაშინ, უკაცრავად, ამ შემთხვევაში მისი მარქსიზმ-ლენინიზმი სხვა ნაპირზე იმყოფება.

პარტიული ხელმძღვანელობის მთავარი ამოცანა, რომელიც დღეს ავიტრიეთ და რომელსაც ნდობა გამოვუცხადეთ, ის არის ,რომ ჩვენი ხალხები გამოვიყვანოთ კრიზისიდან. იგი ითვალისწინებს იმას, რომ ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი რესპუბლიკისათვის უზრუნველყოთ მშვიდი დღე, მშვიდი ცხოვრება, რათა თვითეულმა მუშამ, ლეგლმა, ინტელიგენტმა შეძლოს გულისყურით მოეკიდოს თავის სამუშაოს, რათა მშვიდ ატმოფერიში ვიფიქროთ ყველა პრობლემაზე, მოვეთათბიროთ ერთმანეთს, ვიდავოთ კიდეც, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტოთ ისინი, როგორც ეს ყოველ კონსოლიდირებულ, კულტურულ სოციალისტურ სახელმწიფოში ხდება. უმთავრესი ამოცანა და უმნიშვნელოვანესი მუშაობა უახლოესი პერიოდისათვის ის არის, რომ ჩვენი ხალხები გამოვიყვანოთ დღევანდელი მდგომარეობიდან.

ჩვენს რესპუბლიკაში მშვიდი ცხოვრების მიზნით უნდა მოვახდინოთ ურთიერთობის კონსოლიდაცია შინ და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობის კ ო ნ ს ო ლ ი დ ა ც ი ა, ეს ასჯერ მაინც მკაფიოდ განვიცხადებია, მაგრამ როგორია მდგომარეობა? დაძაბულობა არ შესუსტებულა, იმიტომ რომ კრიზისის შინაგანი მოვლენები მუდმივად ხელს უწყობენ გამწვავებას. როგორ უნდა ვიარსებოთ საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით, თუ ჩვენს მოკავშირეებთან, სახელმწიფოებთან, რომლებთანაც გვაკავშირებს ეკონომიური და სამხედრო ურთიერთობა, ვერ დაკამყარეთ კეთილშობილური და მეგობრული ურთიერთობა? ეს ამხანაგური და ძმური ურთიერთობა ,ისეთი ურთიერთობა, რაც შეესაბამება სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებს, ჩვენი ხალხების ინტერესებს.

ზოგიერთისათვის ეს სიტყვები არა სასიამოვნოდ გაისმის — ეს ასალი ამბავი როდა. ჩვენ, მიუხედავად ამისა, ამ პრინციპებს შევიტანთ ჩვენი პარტიის ფართო რიგებში, ჩვენი ხალხის ფართო ფენებში, როცა საზოგადოების დიდი უმრავლესობა მხარს დაუჭერს პარტიას, რადგანაც ეს არის იმის გარანტია, რომ ჩვენში და ჩვენს გარშემო იქნება სიმშვიდე და შვიდეტები გულისყური მიეპაყროთ შემოქმედებითს შრომას.

როგორც იტყვიან, მეკის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტიათ. ჩვენ გვეშინოდა მგლებისა ტყეში, ზოგჯერ კი გამოგონილი მგლებისაც. რა ძალა შეიძლება დაუპირისპირდეს ამ პარტიის ძალას, თუ მას მოვაწესებინგებთ, თუ პარტია დაეყრდნობა მშრომელებს? თვითეული ლაპარაკობს: ზოგიერთი გამოდის, მაგრამ რა პოზიციიდან? რა პოზიციიდან უდგებიან ისინი მუშათა კლასს? ზოგიერთი ქარხანაში მიდის იმისათვის, რომ იქ გამოიწვიოს ,ანტიპარტიული ტენდენციები; ყოველი შემთხვევის გამო აყენებენ ლოზუნგებს — „სტუდენტებო და მუშებო, გამოვიდეთ ერთად, სტუდენტებო, ინტელიგენციავ და მუშებო, გავერთიანდეთ!“. პარტიის პროგრამის განსამტკიცებლად? ეროვნული ფრონტის პროგრამის განსამტკიცებლად? ეროვნული ფრონტის რომელ ორგანოში განიხილეს ეს პროგრამა? ყველამ ვიცით, რომ ეს არის პლატფორმა, რომელიც ეწინააღმდეგება ჩეხი პარტიისა და ეროვნული ფრონტის პოლიტიკას.

კონსოლიდაციის ჩვენს პროცესში მთავარი რგოლია ჩვენი პარტია. ყველაფერი რომ კარგად იყოს პარტიაში, მაშინ ყველგანაც ყველაფერი კარგად იქნებოდა. ჩვენ დიდი პარტია გვყავს, კომუნისტები ყველგან არიან — სახელმწიფო ორგანოებში, ეკონომიურ ორგანოებში, უშიშრების ორგანოებში. არ არის ისეთი დარგი, სადაც კომუნისტები არ იყვნენ. მაგრამ, პრობლემა ის არის, თუ რა მდგომარეობაშია პარტია. ამიტომ მთავარი ყურადღება ამ საკითხს უნდა დაგუთმოთ.

საქმე ეხება პარტიის გაერთიანებას, პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობის გაერთიანებას. მაგრამ საქმე ეხება არა ყოველგვარ გაერთიანებას, არა ფორმალურ გაერთიანებას, არამედ გაერთიანებას მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე. ვიცი, ზოგიერთი ადამიანებთან ვაეერთიანდეთ, ზოგიერთებს ჩამოვშორდეთ, რადგანაც საკითხი უნდა დაისვას პრინციპულად. სხვანაირო გამოსავალს ვერ ვამოვნახავთ. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ არა რაღაც წვრილბურჟუაზიული პრინციპების ან კომპრომისების საფუძველზე, არამედ უნდა გავერთიანდეთ კონკრეტული პროგრამით და იმის შესაბამისად, თუ ვინ და როგორ მოეკიდება მას.

პარტიის ახლანდელი მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ხელმძღვანელობაში არ იყო ერთიანობა; ის, რომ არ გვქონდა ერთიანობა, ასუსტებდა ხელმძღვანელობის ქმედითუნარიანობას, იწვევდა და ურიგდებოდა გადაწყვეტილებათა სხვადასხვა, საწინააღმდეგო, სავსებით საპირისპირო განმარტებას თავდან ბოლომდე, ლეგალიზებულს ხდიდა ამ მდგომარეობას. ამის შედეგად გადაწყვეტილებანი პრაქტიკულად არავის არაფერს არ ავალდებულებენდნენ.

თუ გვსურს პარტიაში წინ წაეიწიოთ, თავდაპირველად საჭიროა თვით ხელმძღვანელობაში განვახორციელოთ ღონისძიებანი, რაზომ ერთიანობა, ,აზრთა ერთიანობა, და უწინარეს ყოვლისა მოქმედების ერთიანობა. ჩვენ გვეუბნებოდნენ: რატომ ლაპარაკობთ გაერთიანებაზე, თუ ხელმძღვანელობაში, სადაც სულ ოცი კაცი ბართ, ვერ დაამყარეთ წესრიგი? როგორ შეიძლება მივაღწიოთ შეთანხმებას ასეთი რაოდენობის მიმართულებათა შორის? ჩვენ მეტად დიდ შემწყნარებლობასა და მოთმინებას ვიჩენდით პარტიის სახელით. დისკუსიის დროს დაე თვითეულმა გამოთქვას თავისი შეხედულებანი. უწესრიგობა იწყება იქ, სადაც მიღებული იყო გადაწყვეტილება, მაგრამ მას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია.

შემდეგი მიზეზი იყო გულგრილობა იმ შემთხვევებში, როცა ირღვეოდა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები. პოლიტიკურ პასუხისმგებლობას არ ვთხოვდით არც ცენტრალური კომიტეტის წევრს, რომელიც პარტიის ხაზს განმარტავდა საპირისპირო მნიშვნელობით, არც ცენტრალური კომიტეტის წევრს, რომელიც შეთანხმების წინააღმდეგ იღაშქრებდა. პარტიაში შედიან ნებაყოფლობით, არავინ არავის ძალით ,ბოლოს არ აჩერებს პარტიაში. თქვენ მოთმინებით უნდა იმუშაოთ ადამიანებთან, მაგრამ, სადაც დარწმუნება არ შეიძლება, უნდა განსხორციელოთ ღონისძიებანი, რომლებიც უშუალოდ გათვალისწინებული პარტიის წესდებით. საჭიროა პასუხისმგებლობა მოვთხოვოთ კომუნისტებს, რომლებიც პარტიის ხაზის წინააღმდეგ მოქმედებენ. სხვა გამოსავალი არ არის. ასეთი გზით უნდა დავამყაროთ დისციპლინა ჩვენს პარტიაში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, კომუნისტი პარტიის სასარგებლოდ მუშაობს თუ მის წინააღმდეგ.

ავალდებულებს თუ არა რამეს პარტიის გადაწყვეტილება კომუნისტს, რომელიც გაზეთში ან რადიოში მუშაობს? სადაური ლოგიკაა, პარტიული ბილეთით თავი მოგქონდეს და საწინააღმდეგო მიმართულებით მუშაობდე? ამას ვერ მოითმენენ ვერც ერთი საზოგადოება.

ვიცი, რას იტყვიან ახლა: მოსალოდნელია ნოვომტნის ანალი ეროა. მაგრამ ადამიანები ჩვენ ,ხელ შეეწევიან ჩვენი საქმიანობისა და ჩვენი შრომის მიხედვით. არ შეიძლება პოპულარული პოლიტიკა განსახორციელო, ყველასთან კარგი ურთიერთობა ქონდეს. ჩვენ იაფ წარმატებაზე იმედს ვერ დავამყარებთ. უშიშრად უნდა ვიბრძოლოთ ყველა იმ საკითხის გადასაჭრელად, რომლებზეც შეეთანხმებიანთ, იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტი დაგვიკლებს.

ეს შეეხება საზოგადოებაში პარტიის ხელმძღვანელ როლსაც. მოვიყვან მნიშვნელოვან მაგალითს — რეფორმაციის პროფკავშირული მოძრაობის როლს. პროფკავშირული ორგანიზების ხელმძღვანელ წარმომადგენელთა დიდი პროცენტი ხომ პარტიის წევრები — კომუნისტები არიან. ბევრი კომუნისტი მუშაობს პროფკავშირებში პატიოსნად და თავდადებით. მაგრამ ზოგიერთი მათგანი საერთოდ იჩენს თუ არა რაიმე; გრძნობას პარტიისადმი? როგორ ესმით მათ პარტიის ხელმძღვანელი როლი? შეუძლია თუ არა პარტიას ამ პრინციპების განუხორციელებლად სხვა ორგანოებშიც, ეკონომიურ ორგანებშიც აკმაღლეს პასუხს მთელი ცხოვრებისა და ყველა საკითხისათვის? ჩვენი შემწყნარებლობა იმდენად შორს წავიდა, რომ ადამიანები აპარატში რასაც უნდა იმას სჩადიან, ზოგან კი მუშაობენ, ზოგან მუშაობენ. ეს კი, იმ პრინციპების სრული უარყოფა, რომლებსაც ეკრდნობა სოციალისტური სახელმწიფო. მაგალითად, მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ვიმბრეთება სტუდენტთა და ქარხნების თათბირი პრაღაში, თანაც, ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იციან შესაბამისმა ორგანოებმა. რას ამზადებენ ისინი? რაღაც გაფიცვებს. მათ შორის უეჭველია არიან კომუნისტებიც. მაგრამ მოდით გამოვარკვიოთ: განა მარტო მათი საქმეა, რას უპირებენ ამ მომენტში რესპუბლიკას, თუ ეს მთელი პარტიისა და სახელმწიფო ორგანოების საქმეა? ბოლო მოეღება თუ არა მათს თამაშს 14 მილიონი ადამიანის ბედით? ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, ჩვენს მოთმინებასაც უნდა ჰქონდეს საზღვარი. თორემ ყველა ჩვენგანს პასუხს მოსთხოვენ, ყველა ჩვენგანს სამართლიანად გაკიცხავენ, თუ ვერ შეძლებთ წინააღეუდგეთ უპასუხისმგებლო ელემენტების ამგვარ მოქმედებას.

ეს, რა თქმა უნდა, ეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებასაც, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობდით. თუ პარტია არ უზრუნველყოფს თავის გადამწყვეტ იდეურ გავლენას ტელევიზიაზე, რადიოსა და პრესაზე, იგი ვერ შეძლებს თავისი როლის შესრულებას ამ სახელმწიფოში.

ამ უნინებზე კომუნისტთა მოვალეობა ის არის, რომ პატიოსნად დაეხმარონ პარტიას. იმას, ვისაც ეს არ უნდა, არც ვთხოვთ. რას იზამ. ჩვენ უნდა განვახორციელოთ კადრისა და სხვა ღონისძიებანი. სხვა გზა არ არის. ლაპარაკობენ პრესის შეზღუდვაზე. მაგრამ შეიძლება თუ არა ადამიანთა ჯგუფს ხელთ ჰქონდეს პრესის უმეტესი ნაწილი, რომელიც მილიონობით ტირაჟით ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრიობაზე? ვის წინაშე აგებს პასუხს?

ამასთან დაკავშირებით ლაპარაკობენ თავაზიულებაზე. თავაზიულებისა და დემოკრატიის საკითხს განვიხილავთ კლასობრივი თვალსაზრისით: ადამიანებისათვის, რომლებიც ამჟამინდელ კრიზისულ მდგომარეობაში, რასაც დღეს განვიცდით, ბორბალად იყენებენ თავისუფლებასა და დემოკრატიას სახელმწიფოსა და სოციალიზმის კანონების წინააღმდეგ, არ შეიძლება იყოს არავითარი თავისუფლება.

ვიცი, რომ ეს ძალიან მკვახე სიტყვებია, მაგრამ მდგომარეობაც მწვავეა.

ეს ეხება ეროვნულ ფრონტსაც. ვიცი, რომ ეროვნული ფრონტის გარეშე ვერ იმოქმედებს ვერც ერთი ორგანიზაცია. მაგრამ ეს გრძელდება თვვიბის მანძილზე. ვიღაცეებმა ამას და თვითონვე ვარღვევთ კანონებს, რომლებიც მივიღეთ.

აქ აღძრული იყო პრობლემები, რომლებიც ფედერაციას ეხებოდა. უნდა ვიზრუნოთ, რომ სახელმწიფო არ სუსტდებოდეს სწორი ფედერაციული გადაწყვეტის პირობებში, პირიქით, უნდა ვიზრუნოთ, რომ ყველა სფეროში იგი კარგად მოქმედებდეს. ჩვენ ხომ გვაქვს მეხსიერება. ლაპარაკობენ ძველი რეჟიმის დაბრუნებაზე, იანვრამდელი პირობების დაბრუნებაზე, არ ვიცი, კიდევ რომელი პერიოდის დაბრუნებაზე, მკონია, ორმოცდაათიანი წლების დაბრუნებაზეც კი ლაპარაკობენ. ვიცით, თუ რა მარჯვედ იყენებენ ამას „თავისუფალ ევროპაში“.

ამ ტრიბუნიდან გამოითქვა მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ჩვენ ვიყოთ იანვრისშემდგომი პოლიტიკის გარანტები. ვის უნდა აქ უარი თქვას იანვრისშემდგომ პოლიტიკაზე? ჩვენ ვლაკვ მოეხვდებოდით კრიზისულ მდგომარეობაში. რატომ არის, რომ მუდამ უბრუნდებიან ამ საკითხებს? ეს, ეროვნული ფრონტის ,ფენომენი, ,ეროვნული ,ფენომენი, ,ეროვნული ,ფენომენი, ,ეროვნული ,ფენომენი, ,ერო

საქართველოს ზღა და ბარში

ახალგაზრდობამ იმთავა

ცხაკაია. (საკ. კორ.). სოფელ ნოსირში მოეწყო სოფლის ახალგაზრდობის შეკრება, რომელიც მიეძღვნა რაიონის „ვითიმმწყობის საკითხს. მისმა მონაწილეებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი და მოწოდებით მიმართეს რაიონის ახალგაზრდობას.

ნოსირელი ახალგაზრდები 7 ათას კვადრატულ მეტრზე მოაწყობენ ლენინის სახელობის სკვერს, დარგავენ ყვავილებს, დეკორაციულ მცენარეებს. აგურის ქარხნის ტერიტორიაზე გააშენებენ ყვავილნარს, გაამწვანებენ გზისპირა ტერიტორიას, გაახარებენ 150 ძირ ხეხილს.

მკითხველები გვწერენ

„კომუნისტის“ ფოსტიდან

△ **საჩხერის** სანეპიდსადგურის (მთავარი ექიმი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი გ. ღონღაძე) **მუშაკებმა მოაწყეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოსტენდი, რომელიც ლამაზად და მიმზიდველად არის გაფორმებული.**

ა. ანასაშვილი.

△ **ორჯონიკიძე.** სოფელ უბისის კოლმეურნეობაში ახლახან დამთავრდა ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა. ახალ შენობაში მოთავსებულია კოლმეურნეობის კანტორა, ბიბლიოთეკა და საფირმო პუნქტი.

სოფლის მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს.

ბ. სახვაძე.

△ **ონის** რაიონში, მცხოვრებმა სამამულო ომის ინვალიდებმა — ხურუთის კოლმეურნეობის წევრმა შოთა გობეჯიშვილმა, რაიკოოპერაციის მუშაკებმა ფილიმონ და სერაპიონ გოგენაშვილებმა და სხვებმა ახლახან უფასოდ მიიღეს მსუბუქი ავტომანქანები „ზაპოროჟეცი“.

ნ. დუშუაშვილი.

სხვა გაზეთების ფურცლებზე

23 წლის შემდეგ

ეს მოხდა 1943 წლის შემოდგომაზე: ქალაქი ჟიტომირი ხელიდან ხელში გადადიოდა. გერმანელთა დივიზიები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა ჯარებს. ბრძოლებში პირველი მიდიოდა მსროლელთა 304-ე დივიზიის სახელგანთქმული 707-ე პოლკი. აქ პირველად გაიცნეს ერთმანეთი ყუბანელმა კაზაკმა, სერჟანტმა ივანე გრიგოლისაძე რინდინკომ და ფშაველმა ჰაბუკმა, ზემდგომმა დავით ვასილისაძე მაჩურიშვილმა. მათი შემდგომი მტკიცე მეგობრობის საფუძველი გახდა ერთი შემთხვევა.

შეტევაზე გადასულ პოლკს გერმანელები ყველა სახეობის იარაღით ურტყამდნენ, მაგრამ ნიღღვარივით წასულ ცოცხალ ტალღას ვერაფერს აკლებდნენ.

როდესაც საბჭოთა ჯარისკაცები „ვაჰას“ ძახილით პირველ სახლებს გასცდნენ, ამ დროს იგრძნო დავითმა მწვავე ტკივილი მარჯვენა მხარში, თვალთ დაუბნელდა და მთიელი გოლიათი უმწეოდ ჩაიკეცა. ეს შენიშნა იქვე ახლო მყოფმა ივანემ, სწრაფად დაიჩოქა, ზურგზე მოიკიდა და ცეცხლის ზაზიდან გასვლას შეეცადა, მაგრამ მტერმა, როგორც სამიზნეს, ისე დაუწყო სროლა. ივანემ ახლა ხოხვით განაგრძო გზა და, როგორც იქნა, სამშვიდობოს გაიყვანა დაჭრილი. შემდეგ კი კვლავ ბრძოლაში ჩაება.

რამდენიმე დღის შემდეგ სასახარულო ცნობა მოვიდა პოლკში — ქალაქ ჟიტომირის აღების დროს გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დავით მაჩურიშვილი და ივანე რინდინკო დაჯილდოვდნენ მესამე ხარისხის დიდების ორდენებით.

ამან დავითი ახალი ენერგიით ავსო. იგი მალე დაუბრუნდა მწყობრს. ამის შემდეგ მეგობრები ერთმანეთს არ მოსცილებიან. მხარდამხარ ბრძოლებით გაიარეს პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია. ზედიზედ ათავისუფლებდნენ ფაშისტისაგან დამონებულ სოფლებსა და ქალაქებს, გამარჯვების დღე პრაღაში იზეიმეს. ვალმოხდილი ვაჟკაცები ერთმანეთს დაეშვიდობნენ და მშობლიურ კუთხეებს დაუბრუნდნენ: ივანე რინდინკო — კრასნოდარის მხარის სოფელ სლავიანსკს და დავით მაჩურიშვილი — დაბა თიანეთს. პირველმა მუშაობა დაიწყო მეურნეობაში, ხოლო მეორემ — კოლმეურნეობაში მიღოლად.

გავიდა წლები. მთიელს ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა მეგობრის სახე. და აი, ერთ დღეს ივანე მწერა დავითს. სიხარულმა ბოლკი მეგობრები. „ალერსიანმა შეხვედრამ მოგონებებს დაუმთო გზა, მოგონებებმა კი მეგობრობის სადღეგრძელოებს.

ამ ამაღელვებელი ამბის შესახებ მკითხველებს მოუთხრობს ჯ. გოჯიაშვილი რაიონულ გაზეთ „ახალ თიანეთში“.

ა. თოდუაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სიახლეთა ჰანიერაში

ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით ფართოვდება ახალი მანქანების გამოშვება, სრულყოფილი ხდება მოსახლეობის მომსახურების საშუალებანი.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ რამდენიმე სიახლეს.

პირველ სურათზე (მარცხნივ) — სანიტარული ავტომობილი. ახალი სპეციალობა მიიღო მიკროავტობუსმა „იუნოსტმა“, რომელსაც მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ქარხანა უშვებს. კონსტრუქტორებმა ამ ჩინებული ავტომობილის ბაზაზე შექმნეს სასწრაფო დახმარების უნივერსალური მანქანა. სხვა მოდელებისაგან მისი მთავარი განსხვავებაა ასაწევი ჭერი. ძარის შუაგულში ჩადგმული სპეციალური მოწყობილობა შესაძლებელს ხდის „სასწრაფო დახმარების“ გადაქცევას მოძრავ საოპერაციოდ, რომელშიც ქირურგებს შეეძლებათ მანქანის შიგნით ფეხზე მდგომმა იმუშაონ. ახალი მანქანა აღჭურვილია სპეციალური სამედიცინო აპარატურით, რადიოტელეფონით, სისხლის გადასასხმელი დანადგარით.

მეორე სურათზე (მარჯვნივ) თქვენ ხედავთ დაზღვეული წერილების მისაღებ ავტომატს, რომელიც დადგმულია ოდესაში ახალ ავტომატიზებულ სალაპარაკო პუნქტში. ამ პუნქტში დადგმულია აგრეთვე ვიდეოტელეფონი.

მესამე ფოტოსურათზე (ქვემოთ) — ახალი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა „მინსკ-32“, რომელიც შექმნა მინსკის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის საპროექტო ბიუროს ინჟინერთა და კონსტრუქტორთა კოლექტივმა. ახალი მანქანა ბევრად უფრო პროდუქტიულია წინანდელ მოდელებზე. წამში 30 ათას ოპერაციას ასრულებს. მას ერთი კაცი მართავს. წელს დაიწყო ახალი მანქანების სერიული გამოშვება.

ფოტო **ვ. სოზინოვისა, ი. პავლენკოსი, ვ. ლუპეიკოსი,**
(საკადესის ფოტოქრონიკა).

საკვლევითი თემაზე

ძვლის ტვინის უჯრედების ელექტრონული პროგრამული მყინვარი, რომელმაც მისი ხანგრძლივი შენახვის პრობლემის გადაჭრის საშუალება მოგვცა, შექმნეს ქართველმა მედიკოსმა კიბერნეტიკოსებთან თანამშრომლობით.

სიცივე სისხლის დაავადებებთან ბრძოლაში

ძვლის ტვინის სისხლის ფაბრიკას უწოდებენ. მარტოოდენ ერთი დღე-ღამის განმავლობაში ეს დიდი მშრომელი წარმოქმნის ასობით მილიარდ ერითროციტს, ლეიკოციტს, თრომბოციტს, რომელთაგან შედგება სისხლი. დიდი ფანტაზია არ არის საჭირო იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა მოხდება, ხანმოკლე დროითაც რომ შეწყვიტოს პროდუქციის გამოშვება ამ უჩვეულო ფაბრიკამ.

ხიროსიმასა და ნაგასაკში კაცობრობა პირველად წააწყდა საშინელ სახეობერ დაავადებას. მას წარმოშობს ძვლის ტვინის დაზიანება, რომელიც სისხლის შექმნის უნარს კარგავს. მედიკები უკვე მრავალი წელია იღვწიან ავთვისებიან სიმსივნეთა წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემის გადასაჭრელად. საშუალება გვაქვს — შემოსხივება. მაგრამ სიმსივნის მოსპობამ შეიძლება გამოიწვიოს ნორმალური უჯრედების დაზიანება, მათ შორის თავის ტვინისაც. და ორგანიზმი დაუცავი რჩება.

სისხლის წითელი ბურთულების ნაკლებობა, იმ ბურთულებისა, რომლებსაც უხვად წარმოქმნის ჯანსაღი ძვლის ტვინი, იწვევს სისხლის ძმიმე დაავადებას — ლეიკოზს. დონორის ძვლის ტვინის შეყვანა — ერთ-ერთ მეტად ძმიმე სახეობის ანემიასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

ამიტომ საჭიროა, ექიმებს მუდამ მზად ჰქონდეთ ახალი ძვლის ტვინი. მაგრამ როგორ მივაღწიოთ ამას, თუ თანამედროვე მეთოდები საშუალებას გვაძლევენ შევინახოთ იგი მხოლოდ 5-8 დღე, რის შემდეგ უჯრედები იღუპებიან. მედიკები მრავალი წელია ცდილობენ გადაჭრან ძვლის ტვინის ხანგრძლივი კონსერვაციის პრობლემა.

რატომ არის, რომ მეცნიერებს, რომლებმაც ისწავლეს სისხლის შენახვა თვეების განმავლობაში, არ შეუძლიათ ასე ხანგრძლივად შეუნარჩუნონ სიცოცხლე ძვლის ტვინს?

საქმე ის არის, რომ სისხლი შედგება განვითარებადამთავრებული უჯრედებისაგან. მისი კონსერვაციის პროცესი კი დამღუპველია. ძვლის ტვინის ჯერ კიდევ ანალიზმა ცხადყო, რომ გაყინვის დროს უჯრედებისშიდა წყლები გადაიქცევა ყინულის უხეშ კრისტალებად, რომლებიც იწვევენ ძვლის ტვინის ანალგაზრდა უჯრედების დაღუპვას. აღმოჩნდა, რომ ამის თავიდან აცილება შეიძლება, თუ შევძლებთ გაყინვის პროცესის რეგულირებას. მაგრამ არსებული მცირეოდენი აპარატებით ამის მთლიანად მიღწევა არ ხერხდებოდა.

თბილისის სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ექიმებისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანამშრომლების მრავალი წლის ექსპერიმენტებმა საშუალება მისცეს მათ გამოენახათ ძვლის ტვინის ხანგრძლივი კონსერვაციის გზები. ნ. მღებრიშვილმა, ი. მაზოუმწიფებელი უჯრედებისათვის.

მეცნიერებმა დიდი ხანია იციან, რომ სიცივე ამცირებს სახიცოცხლო პროცესების ინტენსივობას და გაყინული ორგანიზმი შეიძლება გაცოცხლდეს რამდენიმე დღის ან თვის შემდეგაც კი. ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს, რომ რაც უფრო დაბალია ტემპერატურა, მით უფრო დიდხანს უნარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას უჯრედებს. მაგრამ. როცა გადაწყვეტეს გამოეყენებინათ გაყინვა ძვლის ტვინის კონსერვაციისათვის, მედიკებმა წააწყდნენ სრულიად გაუგებარ მოვლენას. მინუს 196 გრადუსი ტემპერატურის დროს, რაც თითქოს იდეალური უნდა იყოს ძვლის ტვინის შესანახად, მისი უჯრედები დაიშალა, დაკარგა სიცოცხლისუნარიანობა.

დაწვრილებითმა მეცნიერულმა ხათაძემ, მ. როყვამ, შ. კახიანმა, ა. კისელიოვმა, ს. ოგანოვმა, გ. ბაკურაძემ და პ. ბადალოვმა შექმნეს ძვლის ტვინის უჯრედების ელექტრონული პროგრამული მყინვარი.

ეს დანადგარი განსხვავდება არსებული დანადგარებისაგან იმით, რომ მაღალი სიზუსტით აწარმოებს ტემპერატურის ყოველდღიურ შემცირებას მოცემული პროგრამის შესაბამისად, და რაც მთავარია, თვითონ ავტომატურად შეაქვს კორექტივები კრიტიკული ტემპერატურის გავლისას და აწარმოებს გაყინვას ყველაზე ხელშემწყობი რეჟიმის პირობებში. ახლა ძვლის ტვინის შენახვა შეიძლება წლების განმავლობაში, ამასთან მისი უჯრედების გადარჩენა — 90-95 პროცენტს შეადგენს.

ძვლის ტვინის გარდა დანადგარებზე შეიძლება ვაწარმოოთ სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილის ხანგრძლივი კოსერვაცია.

ძვლის ტვინის გაყინვის პროცესების პროგრამული მართვის აპარატის შესახებ მოხსენდა კაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მეცნიერი ექსპერტების თათბირს, რომლებიც დიდი ინტერესით შეხვდნენ ამ ცნობას.

ამ დღეებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტმა ქართველ მეცნიერებს გადასცა საავტორო მოწმობანი, „ატენტუნარიანად“ ცნო აპარატი. (საქდესის კორ.).

ეს ნლის შემდეგ

პეტროსიანი თუ სპასკი?

მატჩები მოსკოვსა და თბილისში საქადრაკო სამყაროს ყურადღების ცენტრშია. რა თქმა უნდა, მრავალი მაყურებელი ჰყავს ტიგრან პეტროსიანისა და ბორის სპასკის პაექრობას.

მესამე პარტიამ, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა, სპეციალისტებში ერთგვარი დავა გამოიწვია იმაზე, თუ რატომ გადადეს იგი მეტოქეებმა. საქმე ის არის, რომ მრავალი გაცვლის შემდეგ გროსმაისტერებს საჭადრაკო დაფაზე თითო კუ და ოთხ-ოთხი პაიკი დარჩათ, ამასთანავე პოზიციაც სავსებით თანაბარი იყო. ამიტომ ბევრი ფიქრობდა, რომ გუშინ გროსმაისტერები ბრძოლას არ განაახლებდნენ და ყაიმზე შეთანხმდებოდნენ. ასეც მოხდა, მეტოქეები თამაშს განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 2:1 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ.

„ოქროს მაქიავლები“ ხალიჩაზე

ივანო-ფრანკოვსკში დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში „ოქროს ხალიჩაზე“. ქვეყნისუბუქ, პირველ ქვეყანაშუალო, მძორე სამძალოდ და ძმიმე წონის ათლეტთა შორის. „ოქროს მაქიავლეთა“ და მექსიკის ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი რ. რეჩეა, აგრეთვე ცნობილი მოჭიდავეები ი. გრიგორიევი, ა. ივანოვიჩი, ვ. ანისიმოვი, ა. რომშინი, ნ. შმაკოვი და სხვები.

„ლინამო“ ჭულებს აგროვებს

ლვოვის საცურავ აუზში მიმდინარეობს უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა კოლექტივების ჩემპიონობა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. ეს არის მეორე წრის დასკვნითი შეხვედრები, რის შემდეგ მეტოქეებს ორდადეგები ექნებათ, ჩემპიონი კი შემოდგომაზე იქნება ცნობილი.

უკანასკნელი ორი ტურის მატჩებში წარმატებით გამოვიდნენ თბილისის დინამოელები. სსრ კავშირის ჩემპიონთან — მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრის ფრედ (3:3) დამთავრების შემდეგ თბილისელებმა დაამარცხეს ალმა-ათელი „ალმასი“ 6:5, ხოლო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლვოვის „დინამოს“ გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 3:3.

ლიდერობას მოსკოვის „დინამო“ ინარჩუნებს, რომელსაც 28 ქულა აქვს. სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდს 26 ქულა აქვს.

ლიდერის მერყევი პოზიცია

ალათბურთელ ეაკოა გუნდების სატურნირო ცხრილს დღეისათვის სათავეში კიევის „სტროგელი“ უდგას — 36 თამაშიდან 23 ქულა. მაგრამ მისი პოზიცია ყაირი არ არის, რადგან უახლოესი მეტოქე — არმის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება და ისიც 30 თამაშიდან. ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ კიევლებმა ეს პოზიცია შეინარჩუნონ. ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად კვლავ ცსკა-ს გუნდი რჩება.

ცსკა-ს შემდეგ ყველაზე ნაკლები (10) ქულა დაკარგული აქვთ ბ.ბილისის დინამოელებს. ბეგოროცლი ქულებით (20) კი მათ მეხუთე ადგილი უჭირავთ. მესამე და მეოთხე ადგილებზე იმყოფებიან ტარტუს „კალევისა“ და ალუნასის „ალგირისის“ გუნდები. პირველს 36 თამაშიდან 22 ქულა აქვს, მეორეს 34 თამაშიდან — 21 ქულა.

ძირითადი ბრძოლა უმაღლეს ლიგაში დასარჩენად თბილისის „ბურევესტნიკსა“ და რიგის „ვეი-ს“ შორის მიმდინარეობს. თბილისელები ერთი ქულით უსწრებენ მეტოქეს.

ანტილოპა ჰემინგუეის საფლავზე

მიმდინარე წლის ზაფხულში ქ. კეტჩემში (აიდახოს შტატი) ცნობილი ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის საფლავზე აღმართავენ უჩვეულო ძეგლს — აფრიკული ანტილოპის ბრინჯაოს სკულპტურას.

ძეგლი ახალგაზრდა ინგლისელ მოქანდაკეს ჯონათან კენვორთის შეუკვეთა მწერლის ქვრივმა მერი ჰემინგუეიმ.

როგორც ცნობილია, ჰემინგუეი გატაცებული მონადირე იყო, და არაერთხელ ყოფილა აფრიკაში სანადოროდ. მწერლის სახლში ჰავანის ახლოს დაცულია მის მიერ მოკლულ ცხოველთა ტყავები და რქები, კედლებზე ჭკიდია სანადორო თოფები და მრავალი ფოტოსურათი, რომლებზეც გადაღებულია ჰემინგუეი აფრიკაში ყოფნის დროს. ამ სახლში დაწერა მან თავისი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი „აფრიკის მწვანე ბორცვები“. და მოთხრობა „ალლიმანჯაროს თოვლი“.

სანამ მუშაობას შეუდგებოდა, მოქანდაკე ჯ. კენვორთი ეწვია აღმოსავლეთ აფრიკის იმ ადგილებს, სადაც ჰემინგუეი ნადირობდა ხოლმე. იგი აკვირდებოდა ანტილოპებს, აკეთებდა ჩანახატებს.

ადამიანი მარსიდან

იაპონიის კუნძულ ხოკაიდოზე ტყეში მიდიოდა სატვირთო ავტომანქანა. მძღოლი საკმაოდ გამოცდილი იყო, გზაც იცოდა, მაგრამ მოულოდნელად ერთ ადგილას გაშეშდა: დაინახა, რომ რაღაც უჩვეულო არსება უახლოვდებოდა. თავგზააბნეულმა მძღოლმა ერთბაშად მოატრიალა საჭე და ავტომანქანა ხეს დაეჯახა. როდესაც შემთხვევის ადგილზე პოლიცია მოვიდა, მძღოლმა განაცხადა, მეონი, სკაფანდრიანი კაცი დავინახე... ალბათ მარსიდან ან ვენერიადან ჩამოსული თუ იყო... პოლიციას სასწრაფოდ შეუდგა უცნობის ძებნას და მალე იპოვნა კიდეც. იგი აღმოჩნდა დათვი, რომელსაც თავი სანაგვე ურნაში გასჭედოდა.

ნაბიჯ-ნაბიჯ

გამარჯვებული დაასახელეს

შეჯამებულია შედეგები ფოტო-კინოკონკურსისა, რომელიც საქართველოს მომამსცელობის ფედერაციამ მოაწყო ლენინის „მთები და ადამიანები“ ეძღვნა. „მთები და ადამიანებიც“ ეძღვნა. განიხილა 250 ნამუშევარი 35 ავტორისა — სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისა, რომლებსაც მთების სიყვარული აერთიანებს.

დიდი პრიზი ერთხმად მიანიჭეს ბულგარელ ალა და კოსტან კოსტოვებს ორიგინალობის, თავისებურებისა და ყველაზე მთავარის წარმოსახვის უნარისათვის.

პირველი პრემია მიენიჭა ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს **გ. როსტომაშვილს** ფოტოსურათისათვის „სპორტის ოსტატი გიორგი ჯაფარიძე“ და ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს **დ. სიმონიშვილს** ფოტოსურათების სერიისათვის.

მეორე პრემია — დნეპროპეტროვსკელ ინჟინერს **ლ. ბელიაევს** („სტიქიონის წინააღმდეგ“), ტაშკენტელ **ვ. გალიმოვს** („ოქროვანის ხედი“) და თბილისელ — გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს **ზ. კეცხოველს** (ფოტოსურათების სერია).

მესამე პრემიით აღინიშნა ქუთაისელი **ვ. გაბაშვილის**, ვარშაველი **ე. აბგაროვიჩის** (ფოტოსურათების სერია), თბილისელი სპორტის ოსტატის **შ. მირიანაშვილის** („მწვერვალისაკენ“) და **ზ. ურუშაძის** („წარსულის მოწმე“) ნამუშევრები.

ა. ილიევის (ბულგარეთი), **ბ. სვეტლიაკოვის** (კრასნოიარსკი), **ს. მოინოვის** (მოსკოვი) და **ო. ერქომაიშვილის** (თბილისი) ფოტოსურათებს მიენიჭათ **მეოთხე პრემია.**

საქართველოს ეურნალისტთა კავშირის პრიზებით დაჯილდოვებულია ცნობილი ფოტოკორესპონდენტისა და მთამსცელელის **გ. თიკანაძის** (ფერადი ფოტოსურათების სერია) და თბილისის „სპორტი“ სკოლის დირექტორის **ნ. კანკავას** („ზეცა“ და „გუდამაყრის ხვავი“) ნამუშევრები.

გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ მიერ დაწესებული **პრიზები** მიიღეს თბილისის 37-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა **ლ. გაბუნიამ** („უშგული“, „აილამის ყვავილები“) და ტაშკენტელმა **გ. კალინინმა** („ნაპრალი“).

ფართოფესკიანი ფილმების პრემია ეიზენშტეინ მიანიჭა ალმა-ათელ **მთამსცელელთა ჯგუფს** ლენტ სათვის „სარიგ ეურდანოვი“, ხოლო **ვიწროფესკიანი ფილმებისა — ბ. გვარლიანის** ფილმს („პირველი მასწავლებელი ასალა უშბაზე“). თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ **გ. შუსნელიშვილმა** მიიღო **ნამახალისებელი პრემია** ფერადი ფილმისათვის. (საქდესი).

ნახეთ 21 აპრილიდან
თბილისის ეკრანებზე
ახალი მხატვრული ფილმი
„რევოლუციის მხედრები“

კინოსტუდია „უზბეკფილმის“ ნაწარმოები.
სცენარის ავტორები: **მ. მელკუმოვი, კ. იარმატოვი,** რეჟისორი — **კ. იარმატოვი.**

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რ ა დ ი ო

ორშაბათი, 21 აპრილი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — მ. დავითაშვილი. საბალეტო სიუიტა „მზის ქორწილი“, 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები, 09.25 — ბეთჰოვენი. მეხუთე სიმფონია, 10.15 — ლიტერატურული კომპოზიცია „ლენინი მუდამ ჩვენთან იქნება“ (მოსკოვი), 11.05 — ა. რუბინშტეინი. ნაწყვეტები ოპერიდან „დემონი“. 11.45 — მასწავლებლის სახლებთან არსებული თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი, 12.10 — რადიონარკვევი „ლენინის სახელობისა“, 12.25 — ლ. შპორი. საკონცერტო სონატა ვიოლინისა და არფისათვის და სიმღერები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.20 — უკრაკს „ზაზაეთის რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო ორკესტრი, 13.40 — მ. ბალანჩივაძე. ნაწყვეტები ოპერიდან „დარეჯან ციბერი“. 14.00 — გ. კადიცი. მეორე სიმფონია“; გ. ბელოვი, ორატორია „ასე უნდოდა ფარაშვილისა და ვ. კამეშოვის. შესრულებით, 22.50 — სიმღერები კლაუდიო ვიღლა შესრულებით, 23.30 — ა. ჩიმაკაძე. კანტატა „ქართლის გული“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა

20 აპრილი

09.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 10.00 — ლექცია მათემატიკაში, 10.30 — ბავშვებისათვის „ძაღლიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური ეთერი“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.30 — „ივარკიშეთ ჩვენთან ერთად“. 12.00 — ჩვენი მეგობრების მოლოცვები (გადმოცემა პოლონეთიდან). 12.45 — „ბავშვებისათვის ქართული მხატვრული ფილმი „ჩვენი ეზო“, 14.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ 1946 წელი (ქართულ ენაზე), 16.20 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.20— დოკუმენტური ფილმი „ელგრეკოს სურათები ბუდაპეშტის სახვითი ხელოვნების მუზეუმში“ (ქართულ ენაზე). 17.45 — „პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადის დღიური“, 18.15 — კინოსარკვევი „დაძაბულობის ეფექტი“. 18.35 — საკვირაო გასართობი პროგრამა, 19.15 — „კინომოგზაურთა კლუბი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — ციკლიდან „ლენინიანა“ —„შთაგონების წყარო“, 21.10 — „მხატვრის კვირეული“, 21.30 — „შვიდი დღე“ — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — მხატვრული ფილმი. „პირველი მომსვლელი“.

ი ვ ა ნ ტ ო ვ ი ჩ ი

20 აპრილი

ბ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გორდა (დღისით), ტოსკა (საღამოს, 27-ე აბონ. I წარმოდგ.) **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ხანუმა (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სიყვარული სახუმარო არ არის (დღისით), სასამართლო ქრონიკა (საღამოს, კომბინირებული № 25 აბონ.), **ვასო აბაშიძის სახელობის ფუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე (დღისით), სიმღერა ტყეში (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სათაგური (№ 56 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ., № 30 აბონ. დღის 4 ს.), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (8 ს.), **თოჯინების ქართული**— გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში (დღის 12 ს.).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ქომუნისტი

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-99, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი ფისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТ ИНДЕКС 66443 УЭ 07435

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.